# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 28 იანვარი 2005 №17 (2340) ფასი 50 თეთრი




## რუსული ფეხბურთის ბრეჟნევი წავიდა

კოლოსკოვმა თანამდებობა დატოვა

6



## რობინიო რეალში

პერესმა აბრამოვიჩს ბრაზილიელი აწაპნა

7



## ერთი იყოს და ნაღდი

სახელმწიფო ლატარიებს გააერთიანებს

13

# მარადი არაფერია

## მარატმა ფედერერი დააჩოქა

თუ გახსოვთ, ბოლოს როდის ნახეთ დაჩოქილი როჯერ ფედერერი? ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში ოთხსაათიანი ომის შემდეგ უძლეველმა შვეიცარიელმა ქვემოდან ამოხედა მარატ საფინს. მერე ძალიან ნელა, დიდხანს მიდიოდა ბადისკენ, სადაც მისი მძლეველი და წამქცევი ხელის ჩამოსართმევად ელოდა. რა თამაში იყო, რა კვეთება, რა ნერვების წყვეტა, სასწაულით გადარჩენილი მატჩბურთებით და დაუმთავრებელი ტაიბრეიკებით. მთელ ამხელა ამქარში ვოლგისპირელი რუსი ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც საჩოგნეთის აქილევსს ჩოგნის მოღერება შეჰბედა, ბოლომდე ეომა და წააქცია. საფინი იქნებ საუკეთესო ჩოგბურთელი არ იყოს, მაგრამ ის ყველაზე ჯიუტი და შეუდრეკელი გამოდგა ფედერერის მეტოქეთა შორის. ფედერერმა ასე დჰასრულა შარშან მოგებული სამი სლემტურნირიდან პირველის ტიტულის დაცვა. საფინი კი ორი დღე დაისვენებს, ძალებს მოიკრებს და დღევანდელ მეორე ნახევარფინალში გამარჯვებულს დაელოდება. დღეს კი ერთმანეთს ჩოგნებს გადაუჯვარედინებენ ოზი ლეიტონ ჰიუიტი და იანკი ენდი როდიკი.





REUTERS

# ზამბარა

## იაშვილს რეინჯერსში სახელი შეურჩიეს





გუშინ სანდრო იაშვილის პირველი დღე იყო „გლაზგო რეინჯერსში“. იაშვილი გუნდს შოთა არველაძემ წარუდგინა, მერე კი ვარჯიშის დრო დადგა. „რეინჯერსის“ პირველი შემადგენლობა მსუბუქად მოითელა და მერე თეორიული მეცადინეობისთვის გაისარჯა, ხოლო იაშვილმა მეორე გუნდში ივარჯიშა და მერე ორკარაც ითამაშა.

„იაშვილი ვარჯიშზე კარგად გამოიყურებოდა, თანაგუნდელებმა მითხრეს, ეს ბიჭი გიჟმაჟურად ირჯებოდა და მაღალ ბურთზე ახტომისას ზამბარასავით არისო“ გვითხრა რეინჯერსელმა ზურაბ ხიზანიშვილმა.



# რას ფიქრობს მაკლიში



სანდრო იაშვილმა ახლა „რეინჯერსის“ ვარჯიშებზე უნდა იფრინოს

**სანდრო იაშვილმა** გუშინ პირველად ივარჯიშა გლაზგოში. ვარჯიში კი არა, უფრო გასინჯვა იყო და ჩვენ ჯერ არ ვიცით, რას ფიქრობს ალექს მაკლიში, ანუ მოხვდება თუ არა „რეინჯერსში“ მესამე ქართველი.

გლაზგოში რომ ქართული კოლონია ღონიერდება, კარგი ამბავია. თუნდაც იმიტომ, რომ ეს „რეინჯერსი“ კარგი პლაცდარმი შეიძლება გამოდგეს სამხრეთით გადასაბარგებლად.

ეს ცალკე ამბავია, უფრო ზოგადი, კონკრეტული კი ის არის, რომ 20 წლის სანდრო იაშვილი, ვის გამოც ამდენს ლაპარაკობენ, ბრიტანეთში აღმოჩნდა. იაშვილმა არ იცის ინგლისური, აქვს სანსკრიტული სვირინგი მკლავზე „ღმერთის გარდა ნურავინ განმსჯის“, უყვარს მანქანები, გოგონები და იმის მიუხედავად, რომ დიდი ხელფასი არასოდეს ჰქონია, მობილური ტელეფონის სიძვირით ბევრ ვარსკვლავს გაეჯიბრება.

ამბობენ, რომ ფეხბურთი ასეთი ბიჭების საქმე არ არის, მაგრამ იაშვილი მაგარია ფეხბურთის თამაშში. ამას ყველა აღიარებს. ოღონდაც ისე გამოდის, რომ ის დიდხანს და საფუძვლიანად არსად ყოფილა: არც „ვიტ ჯორჯიაში“, არც „დინამოში“ და აგერ „თბილისშიაც“, რომელმაც „დინამოსგან“ იქირავა, არც მასთან ერთად ყოფილა იოლი და არც მისთვის ყოფილა იოლი. თუმცა იაშვილს მაგრადაც უთამაშია ფეხბურთი, მაგრამ სულ ისე ხდება, რომ მისი ლაღი ხასიათი, ვარჯიშზე უმიზეზო დაგვიანებები, არასტანდარტული ქცევები ყოფაში და ალბათ ბევრისთვის გამაღიზიანებელი მიდგომა ცხოვრებისა და თამაშისადმი საქართველოს პირობაზე დიდ გუნდებს მასთან ურთიერთობას ურთულებს.

იაშვილი ესენგეშიც უტარებიათ გაქნილ რუსეთელ აგენტებს, მაგრამ სხვას დაპირებინ და სხვაგან მიუყვანიათ. აქედანაც ხეირიანი არაფერი გამოსულა. ახლა გლაზგოშია და ან ჰოს ეტყვიან, ან არას. ამ საქმეს არველაძეების გარეშე, ცხადია, არ ჩაუვლია და თუ იაშვილი „რეინჯერსში“ დაიტოვეს, მისთვის ხომ კარგი იქნება და ალბთ ჩვენს ფეხბურთსაც წაადგება. სანდრო იაშვილს თამაშები მოუგია და გადაურჩენია, ყმაწვილთა ნაკრები ზურგით უთრევია, ახალგაზრდულს ვერ შერჩენია. მართალია, ეს არ ყოფილა დიდი თამაშები და არც ამ ნაკრებებს უფრენიათ, მაგრამ მას ნამდვილად შესძლებია ნამდვილი თამაში.

საქართველოში საერთოდაც ეჭვით უცქერიან ამას: თელაველ ბიჭს მკლავზე ინდური სვირინგი. ასეთივე აქვს, მაგალითად, კრეიგ ბელამის, რომლის მთელკვირიანი ჩხუბიც „ნიუკასლის“ მენეჯერ სუნესთან პირველი თემაა ინგლისის გაზეთებში. ბელამის მაინც არ ყიდიან, იმიტომ, რომ ამ ჩხუბის, ამ სვირინგის, ამ საზიზღარი ხასიათის, ამ ტრაბახის და ამპარტავნობის მიუხედავად ულირთ. ეს ცუდი რამეები ბელამის პრობლემაა, ფეხბურთს კი ძალიან მაგრად თამაშობს. როცა ის ხასიათს ვერ თოკავს, კლუბი აჯარიმებს, ხელფასს უქვითავს, როგორც ორშაბათს დაუქვითა 80 ათასი.

მოკლედ, ეხოს გარეთ სხვა დროა. ჩვენ კი მართლა გვაინტერესებს, რას ფიქრობს მაკლიში ამ ქართველზე.

**ირაკლი გამყრელიძე**

# დინამომ პროტასოვს მოუგო

*თბილისის „დინამომ“ კვიპროსულ შეკრებაზე პირველი მატჩი მოიგო. გუშინ ჩვენები ლიმასოლის აელ-ს გაეჯიბრნენ და 2:1 დაამარცხეს*

**როგორც** დინამოელთა პრესსამსახურის უფროსმა ლევან სალუქვაძემ გვითხრა, თავიდან მასპინძლები დაწინაურდნენ, 25-ე წუთზე კოტ დივუარში დაბადებულმა, ამჟამად კი საფრანგეთის მოქალაქე გოტუმ თბილისელთა საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. დინამოელებმა გათანაბრება მეორე ტაიმის დასაწყისშივე შეძლეს, კვირკველიას ჩაწოდებულს ჭიჭვეიშვილმა სწორი პოზიცია შეურჩია და გაიტანა. 56-ე წუთზე კი მელქაძემ იყოჩაღა, აელ-ის საჯარიმოს მისადგომებთან მცველი ჩამოიშორა და ლამაზი გოლი გაიტანა.

მატჩი „დინამოს“ აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა და ანგარიში თამაშის რეალურ სურათს არ ასახავს. ლიმასოლში მატჩს კვიპროსზე მცხოვრები ქართველებიც მრავლად ესწრებოდნენ, ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე მიხეილ ებანოიძე კი „დინამოს“ ყურადღებას არ აკლებს.

აელ-თან თბილისელთა შემადგენლობა ასეთი იყო:

მამალაძე, ჭიჭვეიშვილი, სალუქვაძე, შაშიაშვილი, კვირკველია, კანდელაკი, კანკავა, რომერო (ბაბუნაშვილი 65), ნემსაძე, კაკალაძე, მელქაძე.

კვიპროსელთა უკრაინელმა მწვრთნელმა ოლეგ პროტასოვმა ნამატჩევს დინამოელთა თამაშის კარგი ორგანიზაცია აღნიშნა და ქართველ კოლეგას გუნდი მოუწონა. თავის შეგირდებზე კი თქვა, აელ-ში რამდენიმე ფეხბურთელი გასასინჯად არის და შედეგზე მეტად მათი მომზადების დონე მაინტერესებდაო.

კვიპროსული შეკრების ბოლო ამხანაგურ მატჩს „დინამო“ ხვალ რუმინულ „არჯეშთან“ გამართავს, ზეგ კი ჩვენები შინ დაბრუნდებიან.

**კობა ინასარიძე**

## იტალია

თასის მეოთხედფინალი
პირველი მატჩები
კალიარი 2:0 სამპდორია
ატალანტა 0:1 ინტერი

## ჰოლანდია

ამსტელის თასი
მერვედფინალი
*აიაქსი* 2:0 ჰერენვენი

## საბერძნეთი

თასის მერვედფინალი
პირველი მატჩები
ქსანთი 1:0 ეგალეო
აეკ 1:1 პანათინაიკოსი
კასტორია — პთოლემაიდა გადაიდო

## ესპანეთი

თასის 1/4 ფინალი. I მატჩი
გრამანეტი 2:2 ბეტისი


რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80



ფრანგულ-ქართული კომპანია
"ლეონსიო"
(ელექტრონული დაცვის სისტემები)
გთავაზობთ
დისტანციური მართვის უკაბელო სიგნალიზაციის მონტაჟს
ოფისებსა და ბინებში საგანგაშო (SOS) ღილაკით
მონტაჟი უფასოა
უპროცენტო განვადებით
მისამართი: ბოდბეს შეს. №6, ქ. თბილისი
ტელ: (995 32) 26 80 80, (995 32) 27 30 99
ფაქსი: (995 32) 27 30 99
ისეთივე საიმედო, როგორც მოედანზე!




## კალათბურთი

# ევროლიგა

XII ტური. 27 იანვარი

**A ჯგუფი**
ციბონა 89:96 კლიმამიო (ძ.დ.81:81)

**B ჯგუფი**
ოლიმპია 79:67 ვილერბანი
ბარსელონა 58:70 სიენა
მაკაბი 93:92 აეკ

**C ჯგუფი**
ულქერი 62:69 ბენეტონი

სარბიელელ
კახა შალამბერიძეს და მაკა კვახაძეს
ვულოცავთ შეუღლებას.
ახალშექმნილ
ოჯახს ჯანმრთელობას,
ბედნიერებას და ბევრი შვილის
ყოლას ვუსურვებთ.
*სარბიელელები*

გაზეთ „ლელოს“
დამატება „ქართული ფეხბურთი“
ულოცავს
კახა შალამბერიძეს და მაკა კვახაძეს
დაოჯახებას და ბედნიერებას უსურვებს მათ

# თქვენი ინტერვიუ

# ლევან კობიაშვილთან

**«შალკე» გელზენკირხენი, გერმანია**



მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

*ფეხბურთი გულშემატკივრისთვისაა და ფეხბურთელებიც ბურთს ქომაგისთვის აგორებენ. „სარბიელის“ მეშვეობით კი ამიერიდან გულშემატკივარს საშუალება ექნება კითხვები დაუსვას სახელიან ქართველ ლეგიონერებს. გელზენკირხენის „შალკეს“ შუახაზელი ლევან კობიაშვილი პირველია, ვინც „სარბიელის“ საშუალებით გულშემატკივართა შეკითხვებს უპასუხებს. მოკლედ, გამოგზავნეთ თქვენი შეკითხვები ელექტრონულ ფოსტაზე ან დარეკეთ ტელეფონზე 5 თებერვლის ჩათვლით 12-დან 20 საათამდე, მიუთითეთ თქვენი გვარსახელი, ასაკი და ქალაქი. ინტერვიუ თქვენი კითხვებითა და ლევან კობიაშვილის პასუხებით გამოქვეყნდება არაუგვიანეს 10 თებერვლისა.*

---

*გიორგი ადამია საქართველოს ჩემპიონატში უდავოდ გამორჩეული ფორვარდი გახლდათ და რა გასაკვირია, რომ მისი ნიჭის პატრონისთვის ბაქოს „ნეფთჩიზე“ უკეთესი უცხოური გუნდი გვემეტებოდა. 24 წლის ადამია ერთი თვის წინ გადავიდა აზერბაიჯანულ კლუბში და ამას წინათ მოსკოვში გასრულებულ თანამეგობრობის თასზე მშვენივრადაც ითამაშა, ექვსი გოლით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და „ნეფთჩი“ ლამის მარტომ „ათრია“ ფინალამდე.*

*გიორგი ახალი კლუბით კმაყოფილია, პირობებიც ნორმალურია და გუნდიც არ დაიწუნებაო. თანამეგობრობის თასის მთავარმეგოლეს გუშინ აზერბაიჯანში დავუკავშირდით და მოსკოვური პერიპეტიების გარდა რომელიმე ახალი კლუბისგან შესაძლო შემოთავაზებებზეც ჩამოვუგდეთ სიტყვა...*



# გიორგი ადამია: აქ ყველაფერი მახარებს

## თანამეგობრობის ბომბარდირი არაფერს მალავს

— „ნეფთჩის“ კარგად შევეწყვე, ყველამ თბილად მიმიღო და უცხოობა საერთოდ არ მიგრძვნია. წელიწადნახევრიანს პლუს ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე, რითაც კლუბიც კმაყოფილი დარჩა და მეც. სიმართლე გითხრათ, ნაღდად არ მეგონა, თუ „ნეფთჩი“ ასეთი ძლიერი გუნდი იქნებოდა. უფრო სხვა წარმოდგენა მქონდა აზერბაიჯანულ ფეხბურთზე.

**— „ნეფთჩი“ შარშან აზერბაიჯანის ჩემპიონი გახდა, წლეულს კი მეოთხე ადგილზეა. კლუბის ხელმძღვანელობა ისევ პირველ ადგილს უმიზნებს?**

— რა თქმა უნდა. მარტო ჩემპიონობა კი არა, აზერბაიჯანის თასიც უნდა მოვიპოვოთ. მეოთხე ადგილზე კი ვართ, მაგრამ ლიდერი მხოლოდ ოთხი ქულით გვისწრებს. თანაც მეორე ეტაპზე ჩინებული კალენდარი გვაქვს, ცხრილის ზედა ნაწილში მყოფ შვიდივე გუნდს შინ ვეთამაშებით.

**— „ნეფთჩიში“ შენ გარდა კიდევ არიან ლეგიონერები?**

— კი, ოთხნი ვართ. ერთი რუსეთის მოქალაქე ოსი ბიჭია, ერთიც ხორვატი და ერთიც ბოსნიელი. საერთოდ, აქ ლეგიონერების მოყვანას არ ერიდებიან, აზერბაიჯანულ კლუბებს ფინანსურად იმდენად არ უჭირთ. მოკლედ რომ ვთქვა, აქ საფეხბურთო ბუმია...

**— როგორც შევიტყვეთ, გუშინ ადგილობრივ ტელევიზიაშიც მიგიპატიჟეს.**

— თანამეგობრობის თასზე თამაშის შემდეგ მთელი „ნეფთჩი“ მიგვიწვიეს ტელევიზიაში. გულშემატკივრები რეკავდნენ და წარმატებას გვილოცავდნენ.

**— „ნეფთჩის“ და შენს ყოფილ კლუბ „ვიტ ჯორჯიას“ თუ შევადარებთ, რას იტყვი, სად უფრო მაღალი დონეა?**

— ჩემი მხრიდან ასეთი შედარება ცოტა უხერხულია. დონეზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ის კი ნაღდია, რომ აზერბაიჯანულ კლუბებში უკეთესი პირობებია, ფინანსურად უფრო წელგამართულები არიან.

**— ახლა თანამეგობრობის თასზეც ვთქვათ: ამ ტურნირს რუსები თითქმის არ აშუქებენ და საუკეთესო ბომბარდირის ან ფეხბურთელის პრიზი თუ გადმოგცეს?**

— ბომბარდირის პრიზი არ გათამაშებულა. საუკეთესო ფეხბურთელად კი ჩემი თანაგუნდელი ვიდად რზაევი აღიარეს. იგი თავდასხმაში ჩემი მეწყვილე იყო. მთლიანობაში, თანამეგობრობის თასი არ იყო ისეთი დონის ტურნირი, მეორე ადგილზე გასვლით ეიფორიაში რომ ჩავვარდნილიყავით.

**— უცნაურია. ექვსი გოლის გამტანს როგორ გამჯობინეს შენივე თანაგუნდელი?**

— არა, მართლა მაგრად ითამაშა რზაევმა. წარმოიდგინეთ, იგი 37 წლისაა და ბოლო სეზონს ატარებს. ერთი-ორი წელი კი ფეხბურთისთვის თავი ჰქონდა დანებებული.

**— მართალია, „ნეფთჩიში“ ხეირიანად ჯერ არ გადასულხარ, მაგრამ მოსკოვური გოლების შემდეგ ალბათ სხვა კლუბებისგან გექნებოდა შემოთავაზებები...**

— ვერაფერს გეტყვით, პირადად ჩემთან არავინ მოსულა. ერთი-ორჯერ ყური მოვკარი, ადამია ძლიერი კლუბების ყურადღების ცენტრშიაო, მაგრამ ყურმოკვრით გაგონილი ერთია და სერიოზული საუბარი მეორე.

**— ორი წლის წინ კიევის „დინამოში“ ისინჯებოდი, თუმც ტრანსფერი არ შედგა. მოსკოვში კი ნახევარფინალში კიეველებს ორი გოლი გაუტანე და საუბარი ხომ არ განახლებულა?**

— არა, მერწმუნეთ, არაფერს გიმალავთ. მხოლოდ ის ვიცი, რომ ამ სეზონს უეჭველად „ნეფთჩიში“ დავასრულებ.

**ილია ნანობაშვილი**

# ჯანი რაიონებიდან მოჯანიანდა

**გუშინ** საღამოს საქართველოს ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ ანთალიის გზას დაადგა, სადაც ორი კვირით დაბანაკდება და ოთხ ტესტ-მატჩს გამართავს. ჯანი კარნევალის ბიჭები 1 თებერვალს რუმინეთის ჩემპიონატის უმაღლესლიგელ კრაიოვას „უნივერსიტატიას“, 3 თებერვალს ხორვატიის მეოთხეადგილოსან „ოსიეკს“, 5-ში მაკედონიის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბ „პობედას“ და 7-ში რუმინულსავე „ბრაშოვს“ გაეჯიბრებიან.



დავით ჩილვინაძე ვიტჯორჯიელია

კარნევალიმ თურქულ კურორტზე 28 ფეხბურთელი წაიყვანა, რომელთაგან 10 მოთამაშე აქამდე „ვიტ ჯორჯიას“ ფარმ-კლუბში ირჯებოდა. თუ გახსოვთ, ორიოდე კვირის წინ ვეტერინარებმა გორის „დილადან“ 20 წლის ლუკა რაზმაძე გადაიბირეს, ახლა კი სინიორ ჯანის გუნდმა კიდევ ორი ფეხბურთელი დაიმატა: ნახევარმცველი გიორგი ფეიქრიშვილი ბოლნისის „სიონიდან“ და ფორვარდი დავით ჩილვინაძე „ზესტაფონიდან“. ისინი ანთალიაში გაჰყვნენ ვეტერინარებს და მიმდინარე სეზონში უეჭველად „ვიტ ჯორჯიაში“ ითამაშებენ.

იყო ვარაუდი, რომ გიორგი ადამიასა და ლაშა ნოზაძის გარდა, კიტელები კიდევ რამდენიმე გამორჩეულ მოთამაშეს შეელეოდნენ. თუმც ჯერჯერობით წამსვლელებზე არაფერი ისმის, პირიქით, „ვიტ ჯორჯიამ“ დავით დიღმელაშვილსა და პავლე დათუნაიშვილს ახალი სამწლიანი კონტრაქტები გაუფორმა.

**ილია ნანობაშვილი**

# რამონი და ჟენი

## ბურთჯამბაზები ლოკომოტივში

**ტრაპიზონში** შეკრებაზე მყოფმა თბილისის „ლოკომოტივმა“ პირველი საკონტროლო მატჩი ითამაშა. ლოკომოტიველები თურქეთის პირველი ლიგის „არსინსფორს“ გაეჯიბრნენ და 1:1.

თურქები პირველ ტაიმში დაწინაურდნენ, გამთანაბრებელი კი მიხეილ ბობოხიძემ გაიტანა. „ლოკომოტივმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გვარამაძე (სტურუა 46), ფოფხაძე (ექონია 46), მახვილაძე, გ. ონიანი, მანჩხავა, ქებაძე, თუთბერიძე (სანიკიძე 35), რ. ონიანი (გახელიშვილი 75), ბობოხიძე (სეთურიძე 45), სირბილაძე (ბარბაქაძე 85), დავითულიანი (კირვალიძე 80).

როგორც „ლოკომოტივის“ მთავარმა მწვრთნელმა ჯემალ ჩიმაკაძემ გვითხრა, ტრაპიზონში, თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის ბაზაზე ჩინებული პირობებია. მომდევნო მატჩს „ლოკომოტივი“ 2-3 დღეში ითამაშებს, მეტოქე კი ჯერ ზუსტად ცნობილი არ არის.

გუშინ საღამოს „ლოკომოტივს“ ორი ბრაზილიელი შეუერთდა — პლეიმეიკერი რამონი და ფორვარდი ჟენი — ისინი ჩიმაკაძემ შარშან, დეკემბერში ნახა ბრაზილიაში და „ლოკომოტივში“ თამაში შესთავაზა. თუმც რამონის და ჟენის გალოკომოტიველება ჯერ გადაწყვეტილი არ არის, ისინი, ფაქტობრივად, გასინჯვაზე არიან ჩიმაკაძესთან.

„ჟენი და რამონი მოყვარულები არიან, ბრაზილიაში მათ ორ თამაშში დავაკვირდი მოყვარულ გუნდებთან, მაგრამ ბურთთან ისე კარგად არიან, რომ პროფესიონალებში ადაპტირება არ უნდა გაუჭირდეთ“ — გვითხრა ჩიმაკაძემ.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს
ფეხბურთის ფედერაცია
სამძიმარს უცხადებს
გივი და ლევან ნოდიებს
დედის
როზა ბარაბაძე-ნოდიას
გარდაცვალების გამო

საქართველოს პროფესიული
ფეხბურთის ლიგა
თანაუგრძნობს
გივი და ლევან ნოდიებს
დედის
როზა ბარაბაძე-ნოდიას
გარდაცვალების გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა





REUTERS მანჩესტერიდან

ფრენკ ლამპარდის ამ გოლმა ჟოზე მაურინიუ 42-ე დაბადების დღეზე, რა თქმა უნდა, გაახარა

# მაურინიუს დღეობაზე დაფის იღბალმა ფერგი დაფლითა

## ინგლისი

**ლიგის თასი. 1/2 ფინალი საპასუხო მატჩი**

**მანჩესტერი 1:2 *ჩელსი* (0:0)**

0:1 ლამპარდი (29), 1:1 გიგზი (65), 1:2 დაფი (85)

მანჩესტერი: ჰოვარდი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, მ. სილვესტრი, ჰაინცე, კ. რონალდო, როი კინი, სქოულზი, კ. ფორჩუნი (რუნი 59), გიგზი, საა

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

ჩელსი: პ. ჩეხი, პ. ფერეირა, გალასი, ტერი, ბრიჯი, ტიაგუ, მაკელელე, ლამპარდი, რობენი (ჯ. კოული 90), დაფი (იაროშიკი 87), დროგბა (გუდიონსენი 68)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: კინი, მაკელელე

მსაჯი: სტაილზი

67 000 მაყურებელი

*ფინალში, 27 თებერვალს კარდიფის „მილენიუმზე“ „ჩელსი“ და „ლივერპული“ ითამაშებენ*

**ლიგის თასი** ეძახე და წლეულს სულ სხვანაირი ფინალი აქვს: აღარ არის უეფას თასის საგზურზე მონადირე პატარა გუნდების საჯილდაო.

ფინალში „ჩელსი“ და „ლივერპული“ ითამაშებენ. პირველმა დემიენ დაფის გვიანი გოლით „ოლდ ტრეფორდზე“ დაამარცხა „მანჩესტერი“ 2:1, „ლივერპულმა“ კი წინა დილით „უოტფორდს“ გამოგლიჯა საგზური სტივენ ჯერარდის გვიანი გოლით.

პირველი მატჩი „ჩელსისა“ და „მანჩესტერს“ შორის უგოლოდ და ხმაურით დასრულდა, მეორეში კი დაფის იღბალა საჯარიმო დარტყმამ, ბარე 50 იარდიდან რომ წამოვიდა, თამაშის ბედი გადაწყვიტა. „მანჩესტერს“ სათასოდ შთენილი მეკარე, ტიმ ჰოვარდი ეყენა, დაფს კი კარში სულაც არ გაუშვია ბურთი, მიზნად ჩაკიდება ჰქონდა განზრახული, მაგრამ ასე კი გამოვიდა, რომ ჩახვეული ბურთი კარში წავიდა, ჰოვარდი კი ვერ დაუხვდა.

„ჩელსი“ მანამდეც იგებდა ფრენკ ლამპარდის ღონიერი დარტყმულით. მერე კვინტონ ფორჩუნი პენალტს



ალექს ფერგიუსონი: 50 იარდიდან რომ გოლს გაუშვებ, რაღას მოიგებ

ითხოვდა, მეორე ტაიმში კი რაიან გიგზმა კოხტად გადაუგდო ბურთი თავზე მეკარეს და ანგარიში გაათანაბრა. თუმცა, როგორც გაირკვა, მხოლოდ ოციოდ წუთით.

ახალი წლის შემდეგ პირველად იყო სასტარტოში როი კინი, „ჩელსის“ ფინალში გასვლა კი ჟოზე მაურინიუს 42-ე დაბადების დღეს დაემთხვა. მენეჯერი ძალიან გახარებული იყო, ასეთი მოგება ჩემპიონატში კარგად ყოფნასაც ნიშნავსო. საერთოდ კი ყველა ალაპარაკდა — „ჩელსის“ წლეულს ოთხი თასის მოგება გადაუწყვეტიაო. ჯერჯერობით ფსონი ამ პროგნოზზე 1/500-ზეა, მერე ეგებ დაიწიოს კიდეც.

ალექს ფერგიუსონი, რომელსაც მწვრთნელ მაურინიუსთვის არასოდეს მოუგია თამაში, ყველაფერს დაცვას აბრალებდა, 50 იარდიდან რომ გოლს გაუშვებ, რაღას მოიგებო. „ჩვენ ბრწყინვალედ ვითამაშეთ მეორე ტაიმში. მხოლოდ იღბალმა გაგვწირა“.

ისიც საინტერესოა, რომ აქამდე ფერგიუსონს არასოდეს წაუგია რაგინდარა თასის საშინაო ნახევარფინალი: „დავიღალე დაუნიშნავ პენალტებზე ლაპარაკით. პირველ მატჩშიც გვეკუთვნოდა და ახლაც.

REUTERS მანჩესტერიდან

უეინ ბრიჯმა რომ დაქაჩა ჩვენიანი, იყო პენალტი“.

„ეს თასი გვინდა, მაგრამ ჩემპიონობაც — ამაყობდა მაურინიუ — 11 თამაში უნდა მოვიგოთ, რომ ჩემპიონები გავხდეთ. ყველას ვაფრთხილებ, დღევანდელი თამაში ჩვენს ძალაზე მეტყველებს“.

**ირაკლი გამყრელიძე**

**ჩემპიონატი. XXXI ტური**

**დერბი ქაუნთი 2:0 ლიდსი**

1:0 ტ. სმიტი (64), 2:0 ბოლდერი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იფსვიჩი | 30 | 17 | 8 | 5 | 56:37 | 59 |
| უიგანი | 30 | 16 | 9 | 5 | 53:22 | 57 |
| სანდერლენდი | 30 | 17 | 5 | 8 | 43:26 | 56 |
| რედინგი | 30 | 14 | 8 | 8 | 37:27 | 50 |
| დერბი ქაუნთი | 31 | 14 | 6 | 11 | 43:38 | 48 |
| შეფილდი | 30 | 13 | 9 | 8 | 39:37 | 48 |
| პრესტონი | 30 | 13 | 7 | 10 | 41:40 | 46 |
| მილუოლი | 30 | 13 | 6 | 11 | 35:29 | 45 |
| ვესტ ჰემი | 30 | 13 | 6 | 11 | 40:39 | 45 |
| ქუინზ პარკი | 30 | 13 | 4 | 13 | 39:42 | 43 |
| ლიდსი | 31 | 10 | 10 | 11 | 35:34 | 40 |
| ქრიუ | 29 | 11 | 7 | 11 | 50:50 | 40 |
| ბარნსლი | 28 | 10 | 10 | 8 | 23:23 | 40 |
| ლესტერი | 29 | 9 | 12 | 8 | 31:27 | 39 |
| ვულვზი | 30 | 9 | 11 | 10 | 42:41 | 38 |
| სტოკი | 30 | 10 | 8 | 12 | 18:22 | 38 |
| უოტფორდი | 30 | 8 | 13 | 9 | 36:34 | 37 |
| ბრაიტონი | 30 | 10 | 7 | 13 | 24:36 | 37 |
| კარდიფი | 30 | 8 | 10 | 12 | 33:35 | 34 |
| პლიმუთი | 30 | 9 | 6 | 15 | 33:42 | 33 |
| ქოვენთრი | 30 | 8 | 8 | 14 | 37:49 | 32 |
| ჯილინგემი | 30 | 8 | 5 | 17 | 28:49 | 29 |
| ნოტინგემი | 30 | 5 | 10 | 15 | 28:45 | 25 |
| როტერჰემი | 30 | 3 | 11 | 16 | 23:43 | 20 |

# კოლო ტურე დაისაჯა



**„არსენალს“** სამი მატჩის მანძილზე არ ეყოლება ცენტრალური მცველი კოლო ტურე. მიზეზი მარტივია: საკვირაო მატჩში „ნიუკასლის“ წინააღმდეგ, ტურემ ზურგში ვერაგულად ჩასცხო ალან შირერს. მსაჯმა ეს ვერ დაინახა, თუმცა, ტელეკამერებმა მთელი საფეხბურთო მსოფლიოს წინაშე ამხილეს 23 წლის მცველი.

ფეხბურთის ასოციაციამაც არ დაახანა და ახლა ტურე ერთ სათასო და ორ პრემიერლიგურ მატჩს გამოტოვებს, რომელთაგან ერთი და უმნიშვნელოვანესი 1 თებერვალს, „მანჩესტერი იუნაიტედის“ წინააღმდეგაა.

ტურე „მეთოფეთა“ ძირითადის წევრია და უკლებლივ ყველა თამაშში მოედანზეა დაცვის ცენტრში. ახლა არსენ ვენგერს არჩევა მოუწევს, თუ ვინ შეუწყვილოს სოლ კემპბელს: პასკალ საგანი თუ ფილიპ სენდეროსი. ფრანგ სიგანს ახლაღა მოუშუშებია ტრავმა, სენდეროსი კი წლეულს მხოლოდ ექვსჯერ გამოჩნდა ძირითადში.

**ირაკლი გამყრელიძე**

*ინგლისური ფეხბურთის ცუდმა ბიჭმა, ძველი და ცნობილი „უოტფორდის“ და უელსის ნაკრების ოდინდელმა კაპიტანმა, აწ კი განთქმულმა მსახიობმა, განაცხადა, რომ ერთადერთი, რის გამოც ჰოლივუდს მიატოვებს, ტანჯული „ლიდსის“ მენეჯერობაა*

# დამირეკე კენ

## გიჟმაჟი ვინი ჰოლივუდს ლიდსისთვის მიატოვებს

მოკლედ, ვინი ჯონსზე მოგახსენებთ.

ამ დღეებში „ლიდსის“ თავმჯდომარე ყველასთვის მოულოდნელად შეიქნა „ჩელსის“ ამლორძინებელი და ენაკვიმატი კენ ბეიტსი. ჰოდა, ვინიმაც თქვა:

„კენმა რომ დამირეკოს და მითხრას: „მისმინე, ვინ... დენის უაიზი ვერაფრით წამოვიყვანე „მილუოლიდან“, ეგებ შენ მოხვიდე და შევუბეროთ? მე წამოვალ“.

15 წლის წინათ, ჯონსმა ერთი წელიწადი გაატარა „ლიდსში“ და გუნდს უმაღლეს დივიზიონში გადასვლაში დაეხმარა. მომდევნო სეზონშივე, „ლიდსი“ ჩემპიონი გახდა, ოღონდ ვინი იქ უკვე აღარ იყო.

„ეს ფანტასტიკური იქნებოდა — ოცნებობს ვინი — ლიდსში ხალხისაც მესმის და ქალაქისაც. სულით იქაური ვარ“.



ვინი ჯონსი

ბეიტსს კი გულში ჰქონია, „მილუოლიდან“ დენის უაიზის წაყვანა. უაიზი ბეიტსის „ჩელსის“ კაპიტნობდა და დღემდე მის მეგობრად რჩება. თუმცა, ამბობენ, რომ „ლიდსის“ ამჟამინდელ მენეჯერს, კევინ ბლექველს არაფერი ემუქრება.

**ირაკლი გამყრელიძე**

# დიდი ფეხბურთი ინძაგისთვის

## იტალია

### თასის მეოთხედფინალი პირველი მატჩები

**მილანი 3:2 უდინეზე**

1:0 ამბროზინი (17), 1:1, 1:2 დი მიკელე (21, 37), 2:2 ამბროზინი (68), 3:2 სერჯინიო (84)

**მილანი:** აბიატი, პანკარო, კოლოჩინი (ნესტა 46), კოსტაკურტა, კალაძე (ფ. ინძაგი 65), ბროკი, ამბროზინი, ზეედორფი (კაკა 78), რუი კოშტა, სერჯინიო, ტომასონი

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

**უდინეზე:** დე სანქტისი, ბელერი, სენსინი, კროლდრუპი, იანკულოვსკი (ალბერტო 66), პაზიენცა, მუნტარი, პიერი, მაური, დი მიკელე (დი ნატალე 74), ფავა (იაკინტა 83)

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

გაფრთხილება: ინძაგი, პაზიენცა

მსაჯი: გაბრიელე

24 110 მაყურებელი

**რომა 1:0 ფიორენტინა**

1:0 დე როსი (40)

**რომა:** ძოტი, მ. ფერარი, მექსეში (სკურტო 46), დელასი, კუფრე, აკილანი, დაკური (დაგოსტინო 27), დე როსი, კორვია (დე მარტინო 59), მონტელა, ა. კასანო

მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი

**ფიორენტინა:** ლუპატელი, მაჯო, ვიალი, დელი კარი (გიგუ 13), სავინი, ობოდო, არიატი, შ. ნაკატა, კიელინი, ფანტინი (იორგენსენი 46), მიკოლი

მწვრთნელი: დინო ძოფი

გაფრთხილება: აკილანი, ობოდო, არიატი

მსაჯი: ნუჩინი

11 000 მაყურებელი



რომა — ფიორენტინა. ანტონიო კასანომ (№18) და დანიელე დე როსიმ მაგრად გაიხარეს

**„მილანს"** ფილიპო ინძაგი დაუბრუნდა, რომელიც ოქტომბრიდან მოყოლებული, მუხლზე ოპერაციის გამო მოედანზე აღარ გასულა. ხოლო იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ინძაგის ტრავმა იქამდეც დიდი ხანი აწუხებდა და იშვიათად თამაშობდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მას დიდი ფეხბურთი ერთი წელი აღარ უთამაშია.

„მილანი" და „უდინეზე" ათი დღით ადრეც შეხვდნენ ერთმანეთს სერია A-ს მატჩში და მაშინაც მილანელებმა მოიგეს — 3:1. თუმცა, ისიც ვთქვათ, რომ სათასო 3:2 მილანელებს ნახევარფინალში გასვლის მყარ გარანტიას სულაც არ აძლევს.

თამაში მილანელთა იერიშებით და სტეფანო მაურისა და სერჯინიოს სახიფათო დარტყმებით დაიწყო. მალე ანგარიშიც გაიხსნა — სერჯინიოს გამჭოლ პასს მასიმო ამბროზინი საგოლედ გამოეხმაურა.

უდინელებმა ოთხ წუთში გაათანაბრეს: კახა კალაძემ კუთხურის ალმის სიახლოვეს უსარგებლო ჯარიმა აიკიდა. დავიდე დი მიკელეს ჩახვეული ბურთი კი კრისტიან აბიატის ზურგსუკან, შორეულ ძელთან შეგორდა.

ცოტაც და, უდინელები დაწინაურდნენ. ისევ კალაძე უნდა ვახსენოთ. მისგან მიღებული ბურთი ფაბრიციო კოლოჩინიმ დაკარგა, დინო ფავას ჩააბარა, ამან კი დი მიკელეს მეორე ბურთი გაატანინა. ეს დი მიკელეს მერვე სათასო გოლი იყო ამ სეზონში, რითაც ზიკოს ძველი რეკორდი გაიმეორა, თუმც ზიკოსგან განსხვავებით, უდინელ ფეხბურთელს ახალი რეკორდის დამყარების საშუალებაც აქვს.

მეორე ტაიმში „მილანმა" მაინც შეძლო თამაშის გარდატეხა. მასპინძელთა მეორე გოლიც ამბროზინიმ შეაგდო. მოედანზე სამი წუთის შესულმა ინძაგიმ მცველები გაიტყუა, რითაც ამბროზინის კარისკენ გაუხსნა გზა. კალაძე კი ერთხელაც ვახსენოთ — ფილიპო ინძაგიმ სწორედ ქართველი მცველი შეცვალა.

მატჩს წერტილი სერჯინიომ დაუსვა, რომლის 20 მეტრიდან დარტყმულმა საჯარიმომ მიზანს ზუსტად უწია.

დინო ძოფის ფლორენციულ დებიუტს იღბლიანს ვერ ვუწოდებთ. „ფიორენტინა" კოპა იტალიის მეოთხედფინალურ შეხვედრაში „რომასთან" 0:1 დამარცხდა. ისიც სიმბოლური უნდა იყოს, რომ ძოფი თავის დროზე „ლაციოს" მწვრთნელი იყო, ასე ვთქვათ, „რომას" დაუძინებელი მტერი და ამავე დროს „სტადიო ოლიმპიკო", სადაც ეს მატჩი გაიმართა, ძოფისთვის ერთ დროს მშობლიური არენა გახლდათ.

ისიც აღსანიშნავია, რომ „რომა" და „ფიორენტინა" იქამდე სამი დღით ადრეც შეხვდნენ სერია A-ს ტურში და მაშინაც რომაელებმა მოიგეს, ოღონდ სტუმრად — 2:1.

გუშინწინ, „ოლიმპიკოს" გულშემატკივარი აკლდა. გეხსომებათ, მერვედფინალში რომაელმა გულშემატკივარებმა მესინაში აურიეს, მოედანზე მაშხალები ჩაყარეს და თამაში ერთი საათით შეწყდა — [illegible] დეც იტალიური ფეხბურთის [illegible] მებმა დედაქალაქელებს ის შეხვედრა გაუხსენეს და „ფიორენტინასთან" დახურულ კარს მიღმა თამაშიც ამიტომ უბრძანეს.

ძოფმა 4-4-2 სისტემით თამაში არჩია, თუმც პირველ ტაიმში ფლორენციელები ისე ღრმად ახლოვდნენ დაცვაში, რომ მასპინძლებს ძალიან იოლად აძლევდნენ საჯარიმოსთან მიახლოების საშუალებას.

ერთ ეპიზოდში სტუმართა მეკარე კრისტიანო ლუპატელიმ დანიელე კორვიას დარტყმული კარის ხაზს მიღმაც მოიგერია, მაგრამ რაც კამერებმა შენიშნეს, მსაჯმა ვერ დაინახა და თამაშიც გააგრძელა.

ლუპატელის ამის მერეც რამდენიმე სახიფათოდ დარტყმულის მოგერიება მოუხდა, ტაიმის მიწურულს კი უძლური შეიქნა — ვალტანო დაგოსტინოს ჩაკიდულ საჯარიმოს დანიელე დე როსიმ თავი დაუხვედრა და მატჩში ერთადერთი გოლი ასე გაიტანა.

მომენტები მეორე ტაიმშიც მრავლად იყო. სტუმრებმაც, რაკი მარცხდებოდნენ, შეტევაში წასვლაც იკადრეს და თამაში უკეთესი სანახავიც გამოდგა. ისე კი, უხეში მატჩიც იყო — ოლივიეე დაკური და დანიელე დელი კარი ტრავმების გამო პირველივე ტაიმში შეიქნენ შესაცვლელნი.

ერთი სიტყვით, „რომამ" მოიგო, მაგრამ საპასუხო მატჩში ერთბურთიანი უპირატესობა საკმარისი ეგებ, არ იყოს.

**ირაკლი ნინიძე**

# გალიანის ოცნება

## რონალდინიო მილანში მინდა



**თუ ეს** გეგმა განხორციელდა, ზაფხულში საწერი არ მოგვაკლდება: „მილანს" რონალდინიოს ყიდვა სურსო და სანაცვლოდ 40 მილიონ გირვანქასაც გამოდისო. ადრიანო გალიანიმ, „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა თქვა, რომ „ბარსელონას" ბრაზილიელი მისი ფავორიტია და შეეცდება, მომდევნო სეზონიდან მილანელი გახადოს.

ეს ცნობა იტალიურ პრესაში გუშინ გავრცელდა და შესაძლო გარიგების დეტალებზეც საუბრობენ. კერძოდ, „მილანი" „ბარსელონას" 25 მილიონს ფულად მისცემს, დანარჩენ 15 მილიონში კი დანიელ თავდამსხმელ იონ დალ ტომასონს და არგენტინელ მცველ ფაბრიციო კოლოჩინის უანგარიშებსო.

ტომასონის ფასი 10 მილიონი გირვანქაა და მისი წაყვანის სურვილი კატალონიელებსაც ჰქონიათ. შესაბამისად, კოლოჩინის ფასი ოდენ ხუთი მილიონი გამოდის. ისე, კოლოჩინი ესპანეთში უცხო კაცი ნამდვილად არ არის, თავის დროზე იჯარით მადრიდის „ატლეტიკოსა" და „ვილიარეალში" უთამაშია.

იმასაც წერენ, რომ თუკი „მილანი" თავის ფინანსებსა და ენერგიას რონალდინიოს ყიდვას მოახმარს, „ჩელსიდან" ნათხოვარ ერნან კრესპოს შენარჩუნებას ვერ შეძლებსო. მოგეხსენებათ, არგენტინელი ფორვარდი ლონდონური კლუბის საკუთრებაა და „მილანშიც" იჯარით თამაშობს.

ერთი სიტყვით, ჯერჯერობით ყველაფერი ბუნდოვნად ჩანს. განხორციელდება თუ არა ეს ტრანსფერი ახლა ძნელად სავარაუდოა.

**ირაკლი ნინიძე**



ესეც ასე — კატალონიურმა „ბარსელონამ" გუშინ მეორე ტრანსფერიც გაჩარხა. სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა და „ბარსასთან" ოთხწლიან კონტრაქტს ხელი 21 წლის არგენტინელმა მაქსი ლოპესმა მოაწერა.

ხელშეკრულება, როგორც უკვე გითხარით, ძალაში 2009 წლის ივნისამდეა. მაქსი „ბარსელონაში" 11-ნომრიანი მაისურით ითამაშებს, რომელიც შარშან ჰოლანდიელ მარკ ოვერმარსს ემოსა და რომელიც წლეულს თავისუფალი იყო.

მაქსი ლოპესისა და კიდევ ერთი ახალწვეულის, იტალიელი დემეტრიო ალბერტინის ბარსელონური დებიუტი სავარაუდოდ, ხვალ, „სანჩეს პისხუანზე" შედგება, როცა პრიმერას ლიდერი „სევილიასთან" გაარკვევს ურთიერთობას.

# გატყდა კაცი, გატყდა...

## ჰოიზერმა ქვითარი აღიარა



**თაღლითობაში** ეჭვმიტანილი მსაჯი, 25 წლის რობერტ ჰოიზერი ბრალდებიდან ერთ კვირაში გატყდა და გუშინ დანაშაული აღიარა. „ძალიან ვნანობ ჩემი საქციელის გამო, ბოდიშს ვუხდი კოლეგებს, გერმანიის საფეხბურთო კავშირს და გულშემატკივრებს" — მოინანია ჰოიზერმა.

შეგახსენებთ, რომ 25 წლის მსაჯ-დურგალი, კოლეგა ფელიქს ცვაიერმა ჩაუშვა საფეხბურთო კავშირის წევრებთან. რობერტ ჰოიზერმა სწორედ მასთან დაიტრაბახა, სასტვენით დიდ ფულს მოვიხვეჭო და ამის შემდეგ აგვისტოში „პადერბორნი" — „ჰამბურგის" სათასო მატჩში სუსტი მასპინძლების სასარგებლოდ უსტვინა. შედეგად, „პადერბორნმა" 4:2 მოიგო და მის გამარჯვებაზე ჰოიზერმა ტოტალიზატორშიც იხეირა.

**გაგა ხუციშვილი**

## საფრანგეთი

**პირველი დივიზიონი**
**XXIII ტური**

**ლიონი 2:1 რენი**
1:0 ბერგონო (44), 2:0 გოვუ (45), 2:1 მონტერუბიო (90)

**ნანტი 0:0 სენტ ეტიენი**

**ნიცა 1:1 ლილი**
0:1 აჩიმოვიჩი (38პ), 1:1 კობოსი (90)

**პსჟ 2:2 ისტრი**
1:0 ელდერი (29), 2:0 პაულეტა (52), 2:1 ბაკაიოკო (60პ), 2:2 ს. პელე (81)

**აიაჩო 1:0 ტულუზი**
1:0 ლუკას პერეირა (27)

**ოსერი 4:1 ბასტია**
0:1 ნე (8), 1:1, 2:1 მვარუვარი (11, 59), 3:1 აკალე (74), 4:1 ბ. კალუ (90)

**ბორდო 1:0 მეცი**
1:0 დარშევილი (75)

**ლანსი 0:1 კაენი**
0:1 მაზური (49)

**მარსელი 0:2 სოშო**
0:1 სანტოსი (53), 0:2 პიტო (70)

**სტრასბური — მონაკო** გადაიდო

# სოშოს ისტორიული
# პელემ პარიზს ასტკენინა



REUTERS

პსჟ — ისტრი. პელეს (№27) გამთანაბრებელმა გოლმა პარიზელი ქომაგი გააცოფა

**ეს ტური** „სოშოს“ ისტორიული გამარჯვებით დაიწყო — სოშოელ სტუმრებს მარსელის „სტად ველოდრომზე“ 1986 წლის შემდეგ არ მოუგიათ და ნავსი როგორც იქნა, გატეხეს — ბრაზილიელი სანტოსისა და პიტოს გოლებით „ოლიმპიკი“ დაამარცხეს. არადა, ფილიპ ტრუსიეს გუნდმა მეორე წრეში ისე აკრიფა, რომ „მარსელის“ საშინაო მარცხს ძნელად თუ ვინმე ივარაუდებდა.

კორსიკაზე კი როლან კურბისის „აიაჩომ“ „ტულუზის“ ათმატჩიანი წაუგებელი სვლა შეწყვიტა. ვალდირ ლუკას პერეირამ ტაიმის შუაში გაუტანა კრისტოფ რევოს, მეორე ნახევარში კი მასპინძლებს მაჰამადუ სეკი გაუძევს. კაცნაკლულობის მიუხედავად, „აიაჩომ“ მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულა და მეჩვიდმეტე ადგილზეც აბობღდა.

პსჟ 2:0-ს უგებდა გასაცოდავებულ „ისტრს“, მაგრამ უპირატესობა გაანიავა და ბოლო ათ მატჩში მეშვიდე ფრეც გამოაცხო. პორტუგალიელმა მარინო ელდერმა ოცდახუთი მეტრიდან გატანილი გოლით დააწინაურა დედაქალაქელები, ელდერის თანამემამულე პედრუ პაულეტამ კი სილვენ არმანის პასით გაზარდა ანგარიშში სხვაობა. თითქოს, ბოსნიელი მწვრთნელის, ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩის გუნდს საქმის სათავისოდ მოკვარახჭინება არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ ჯერ ისტრელმა იბრაჰიმ ბაკაიოკომ პენალტით ერთი გაქვითა, ბოლოს კი სტივენ პელემ გაათანაბრა და გუნდს მეჩვიდმეტე ქულა არგუნა.

ცხადია, „პარკ დე პრენსმა“ მასპინძლებს უსტვინა, რამაც პედრუ პაულეტა ძალიან გააბრაზა: „მესმის, რომ შეხვედრის დასრულების შემდეგ შედეგით უკმაყოფილონი გვისტვენდნენ, მაგრამ ისინი მატჩის დაწყებამდეც ასე იქცეოდნენ. ეს უკვე სიგიჟეა. ამ გუნდში თამაში ისედაც რთულია, ახლა კი თანდათან სრულიად შეუძლებელი ხდება“.

„ლანსის“ ახალ მწვრთნელ ფრანსის გიიოს ფორვარდმა დანიელ კუზინმა გაუთენა შავი დღე: კუზინს ჯერ პირველ ტაიმში არ ჩაუთვალეს ნაღდი გოლი, ხოლო შესვენების შემდეგ, როცა „კაენი“ უკვე დაწინაურებული იყო, მანვე პენალტი გააცუდა, ბოლოს კი მსაჯმა იგი უხეშობისთვის გააძევა. და, რა გასაკვირია, რომ ფრანსის გიიოს დებიუტი ასეთი თავშისაცემი გამოდგა.

მხცოვანი გი რუს „ოსერი“ მაშინ აფორიაქდა, როცა „ბასტიას“ ფორვარდმა ფრედერიკ ნემ ძელიდან უკუგდებული ბურთი მასპინძელთა კარში შეაგდო. სამ წუთში გი რუს შეგირდებმა რომ დაიწყეს, მხოლოდ მსაჯის საფინალო სასტვენისას გაჩერდნენ. შედეგად, კორსიკელებს ოთხი გაუტანეს — ბენჟამინ მვარუვარიმ დუბლი შეასრულა, კანგა აკალემ და ბონავენტურე კალუმ კი თითო-თითო მიითვალეს.

„ნიცამ“ ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერთაგანი „ლილი“ ბოლო წუთზე ჟოზე კობოსის გოლით გატეხა და შინ მხოლოდ ქულა გაატანა. პირველი ტაიმის მიწურულს დამიან გრეგორინიმ სტუმარი ფორვარდი საპენალტედ წააქცია და „ლილიც“ სლოვენიელმა მილენკო აჩიმოვიჩმა დააწინაურა. შესვენების შემდეგ, სტუმართა ბერძენი მცველი ტავლარიდისი ოცდამეხუთე დაბადების დღეზე მსაჯმა წითელი ბარათით დაასაჩუქრა და „ნიცაც“ მეტოქესთან კაცმეტი დატოვა. ლაჟვარდოვანი სანაპიროს გუნდმა მეტობით თამაშის ბოლოსღა ისარგებლა — ზემოთ ნახსენებმა ვეტერანმა კობოსმა გაათანაბრა, მაისურა გაიძრო და, მანამდე „გაყვითლებული“, მაისურის გახდისთვის არბიტრმა [illegible] სის გზას გაუყენა.

„ბორდომ“ ჟან-კლოდ დარშევილის გოლის წყალობით შვიდმატჩიანი მოუგებელი სერია „მეცთან“ გამარჯვებით დაასრულა, ჩემპიონმა „ლიონმა“ კი წინა ტურში პირველი საამსეზონო მარცხი როგორც ჩანს, უკვე დაივიწყა და „რენს“ იოლად გაუსწორდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 23 | 13 | 9 | 1 | 30:10 | 48 |
| ლილი | 23 | 12 | 7 | 4 | 30:16 | 43 |
| ოსერი | 23 | 12 | 5 | 6 | 34:21 | 41 |
| მონაკო | 22 | 10 | 9 | 3 | 32:20 | 39 |
| მარსელი | 23 | 11 | 5 | 7 | 27:21 | 38 |
| ტულუზი | 23 | 9 | 8 | 6 | 25:19 | 35 |
| სოშო | 23 | 9 | 6 | 8 | 30:23 | 33 |
| ბორდო | 23 | 6 | 13 | 4 | 26:20 | 31 |
| სენტ ეტიენი | 23 | 6 | 12 | 5 | 27:20 | 30 |
| პსჟ | 23 | 6 | 12 | 5 | 25:24 | 30 |
| რენი | 23 | 8 | 5 | 10 | 22:27 | 29 |
| ნიცა | 23 | 6 | 9 | 8 | 28:33 | 27 |
| მეცი | 23 | 6 | 8 | 9 | 18:30 | 26 |
| ლანსი | 23 | 5 | 10 | 8 | 21:24 | 25 |
| ნანტი | 23 | 5 | 8 | 10 | 19:24 | 23 |
| კაენი | 23 | 5 | 8 | 10 | 18:37 | 23 |
| აიაჩო | 23 | 4 | 10 | 9 | 18:26 | 22 |
| სტრასბური | 22 | 4 | 9 | 9 | 20:29 | 21 |
| ბასტია | 23 | 5 | 6 | 12 | 17:30 | 21 |
| ისტრი | 23 | 2 | 11 | 10 | 14:27 | 17 |

**მეორე დივიზიონი**
**XXIII ტური**

ლორიანი — ტრუა 1:2; ამიენი — სედანი 1:2; ანჟე — ლავალი 0:1; კლერმონი — ბრესტი 0:0; კრეტეი — გრენობლი 0:0; ლე მანი — გენიონი 1:2; ნიორი — შატორუ 0:0; რეიმსი — ლე ავრი 3:0; გენგამი — მონპელიე 3:1. ნანსი — დიჟონი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანსი | 22 | 12 | 5 | 5 | 31:20 | 41 |
| ტრუა | 23 | 11 | 5 | 7 | 39:32 | 38 |
| სედანი | 23 | 10 | 7 | 6 | 22:21 | 37 |
| გენიონი | 23 | 8 | 11 | 4 | 20:16 | 35 |
| ლე მანი | 23 | 10 | 5 | 8 | 25:22 | 35 |
| შატორუ | 23 | 7 | 13 | 3 | 27:20 | 34 |
| მონპელიე | 23 | 9 | 6 | 8 | 24:21 | 33 |
| გენგამი | 23 | 9 | 5 | 9 | 31:29 | 32 |
| ბრესტი | 23 | 7 | 11 | 5 | 24:24 | 32 |
| ლავალი | 23 | 9 | 5 | 9 | 26:27 | 32 |
| რეიმსი | 23 | 8 | 8 | 7 | 25:28 | 32 |
| გრენობლი | 22 | 7 | 9 | 6 | 28:26 | 30 |
| დიჟონი | 22 | 7 | 9 | 6 | 23:21 | 30 |
| ამიენი | 23 | 6 | 9 | 8 | 20:23 | 27 |
| ლორიანი | 23 | 8 | 3 | 12 | 28:33 | 27 |
| კლერმონი | 22 | 5 | 10 | 7 | 25:24 | 25 |
| ლე ავრი | 23 | 6 | 6 | 11 | 15:23 | 24 |
| კრეტეი | 23 | 5 | 8 | 10 | 20:24 | 23 |
| ნიორი | 23 | 6 | 4 | 13 | 20:31 | 22 |
| ანჟე | 23 | 4 | 9 | 10 | 21:29 | 21 |

# რუსული ფეხბურთის ბრეჟნევი წავიდა

*რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა გუშინ დაადასტურა, რომ თანამდებობას ტოვებს*



ვიაჩესლავ კოლოსკოვს (მარცხნივ) შესაძლოა, გეორგი იარცევიც მიჰყვეს

„კავშირის აღმასკომს ვთხოვე, რომ ჩემი გათავისუფლების საკითხი განიხილოს და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნოს“ — კოლოსკოვმა ამის შესახებ აღმასკომის სხდომის შემდგომ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ჩინოვნიკის კარიერა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა 70-იან წლებში დაიწყო და ჰოკეის ფედერაციას ხელმძღვანელობდა. 1979-ში საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსად დანიშნეს. ამ სამმართველოს სტრუქტურა და სახელი არაერთხელ შეიცვალა და, კოლოსკოვიც არსად წასულა. 1992 წლიდან იგი რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი იყო.

2003 წლის დეკემბერში კიდევ ერთ ვადით აირჩიეს, მაგრამ 2004-ის შემოდგომაზე პორტუგალიასთან 1:7 მარცხის შემდეგ, სპორტისა და ფიზკულტურის ფედერალური სააგენტოს თავკაცმა ვიაჩესლავ ფეტისოვმა სეხნიას პოსტის დატოვება ურჩია, შენს ხელში წინსვლა არ გველისო. კოლოსკოვი გაჯიუტდა, მაგრამ რამდენიმე თვეში „რქები მოამტვრიეს“ და გუშინ წასვლა თავადვე ინება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჩემო ბიჭო, ჩემთან
## ნაკატამ მარსელი იაპონურად აალაპარაკა



კოჯი ნაკატა

**იაპონელი** ნახევარმცველი კოჯი ნაკატა ტოკიოდან მარსელში გაემგზავრა და სამედიცინო შემოწმების შემდეგ ფრანგულ კლუბთან კონტრაქტს გააფორმებს.

იაპონელის „მარსელში“ გადასვლა საეჭვო იყო, რადგან „კაშიმა ანთლერსს“ ფეხბურთელის გაშვება არ სურდა, მაგრამ კლუბის თავმჯდომარე ჰიროში უშიჯიმამ ნაკატასთან საუბრის შემდეგ მას ევროპისკენ გზა გულით დაულოცა.

25 წლის ნახევარმცველი „ოლიმპიკში“ თავს უცხოდ ნამდვილად არ იგრძნობს, რაკი გუნდს იაპონიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ფილიპ ტრუსიე თავკაცობს. კოჯი ნაკატა „სტად ველოდრომზე“ 2007 წლის ივნისამდე დარჩება და ყოველწლიურად ნახევარ მილიონ დოლარს ჩაიჯიბავს, რაც დაახლოებით იმდენია, რამდენსაც „კაშიმა ანთლერსში“ უხდიდნენ.

იაპონიის ნაკრების ამჟამინდელმა თავკაცმა, ბრაზილიელმა ზიკომ აღფრთოვანება ვერ დამალა და ეს ტრანსფერი მოიწონა: „მართალია, ნაკატა ჩრდილოეთ კორეასთან მატჩში ვერ დაგვეხმარება, მაგრამ არ შეიძლება, ფეხბურთელმა ევროპულ გუნდში გადასვლის ასეთი ჩინებული შანსი ხელიდან გაუშვას“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რობინიო რეალში
## პერესმა აბრამოვიჩს 18 მილიონი ააფარა

*გადაწყდა — ბრაზილიური „სანტოსის“ ყმაწვილი ფორვარდი რობინიო მომავალი სეზონიდან „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ითამაშებს*



ბრაზილიელი რობინიო „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ივლისში ჩავა

როგორც მადრიდული „ასი“ იტყობინება, ბრაზილიური სერია A-ს შარშანდელი სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულმა მოიერიშემ მადრიდის „რეალთან“ 2010 წლამდე კონტრაქტი უკვე გააფორმა.

„სამეფო კლუბი“ რომ ადრევე ეკურკურებოდა რობინიოს და თითქოს, კონტრაქტის გაფორმებასაც ალარაფერი უკლდა, მაშინ ფორვარდს ბოროტმოქმედებმა დედა გასტაცეს. ცხადია, ყმაწვილს არ ეფეხბურთებოდა და არც „რეალი“ ეხატებოდა დამძიმებულ გულზე.

ახლა კი, როცა სენიორა მარინა მშობლიურ ოჯახთან ერთად ლაღობს, მისმა ყოჩალმა ბიჭმა და ჟუან ფიგერმა (რობინიოს აგენტი) ესპანელებთან საქმის დასაჭერად მოიცალეს და...

გუშინ სანტოსელის მობილური ტელეფონი ლამის აფეთქდა, რობინიო მილოცვებს ვერ აუდიოდა.

„ჩათვალე, რომ მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი ხარ, ივლისში უკვე „ბერნაბეუზე“ ითამაშებ. გილოცავ რობინიო“ — პირველად აგენტი ფიგერი შეეხმიანა...

„ჩემთვის „რეალის“ ფეხბურთელობა დიდი პატივია“ — იყო მოულოდნელობისგან გაბადრული მოკლე პასუხი.

ჯერჯერობით კი რობინიო მშობლიური „სანტოსის“ მაისურით ლიბერტადორესის თასზე იბრძვის.

„რეალს“ ოფიციალურად ჯერ არ დაუდასტურებია მომხდარი, თუმც იგივე „ასი“ გვამცნობს, რომ მადრიდული გრანდი რობინიოში 18 მილიონ ევროს გადაიხდის.

ერთი სიტყვით, „რეალის“ პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა რომან აბრამოვიჩს სატრანსფერო ომი მოუგო — ბრაზილიელით ხომ მილიარდელი ოლიგარქის „ჩელსიც“ იყო დაინტერესებული.

**ლადო ხომერიკი**

# დელ ბოსკემ თურქებს ნამუსზე ხელი არ შეაწმენდინა

**მადრიდის** „რეალის“ ყოფილი დამრიგებელი ვისენტე დელ ბოსკე სტამბოლის „ბეშიქთაშს“ გამოემშვიდობა. მიზეზი: თურქული კლუბის ულიმღამო თამაში, დელ ბოსკეს აწ უკვე ყოფილი შეგირდები ახლახან სათასო შეხვედრაში „ქონიასფორთან“ დამარცხდნენ 1:3 და სტამბოლელთა გაბრაზებულმა თავკაცობამაც ჩავარდნაში ხელი ულვაშა ესპანელს შეაწმინდა.

დელ ბოსკემ და კლუბის პრეზიდენტმა ილდირიმ დემირორენმა „ბეშიქთაშის“ მომავალზე სათათბიროდ კარავი ხუთშაბათ საღამოს დასცეს. თურქმა ესპანელს განუცხადა, შაბათს, ჩემპიონატის მატჩში „მალათიასფორის“ წინააღმდეგ გუნდს უკანასკნელად გაიყვან და მერე აიკარი გუდა-ნაბადი, შენ რიზა ჩალიმბაი შეგცვლისო.



ვისენტე დელ ბოსკე „ბეშიქთაშიდან“ შაბათს აიბარგება

პირინეელმა პრეზიდენტს საპასუხოდ პირში მიახალა, გადაბერებული შეგირდების შემხედვარეს, კარგი რა უნდა გამეკეთებინაო.

ერთი სიტყვით, დელ ბოსკე ნამუსიანად ტოვებს ოსმალეთს და ცხადია, მისი თანამემამულეებიც სამშობლოში მიჰყავს — თანაშემწე ტონი გრანდი, ფიზმომზადების მწვრთნელი ხავიერ მინიანო და სელექციონერი პაკო ხიმენესი.

იმას კი შეგახსენებთ, რომ ზუსტად ამ სამწვრთნელო შტაბით სენიორ ვისენტემ მადრიდის „რეალთან“ ერთად ევროპის ჩემპიონთა (ორჯერ), საკონტინენტთაშორისო და ევროპის სუპერთასები მოიგო. მათ მონაგარშია აგრეთვე ესპანური ოქრო და ესპანეთისვე სუპერთასი.

**ლადო ხომერიკი**

# კიდევ არაბი
## ვინ არის ჰამდაუი?



მუნირ ელ ჰამდაუი

**ზამთრის** სატრანსფერო სეზონი დასალიერისკენ მიდის და ლონდონურმა „ტოტენჰემმა“ კიდევ ერთი ფეხბურთელი იყიდა: „რომადან“ ნაქირავები 21 წლის ეგვიპტელის, მიდოს კვალად გუნდში ტომით მაროკოელი, 20 წლის მუნირ ელ ჰამდაუი მივიდა.

პატარა მუნირს უკვე უთამაშია ჰოლანდიის ახალგაზრდულ ნაკრებში, თუმც დიდობაში მშობლიური მაროკოს ღირსების დაცვა სურს. ლონდონელებმა ის სამწელიწადნახევრით შეიძინეს როტერდამის „ექსელსიორისგან“.

ახლადშექმნილი არაბული წყვილი თავის მძლე სუნთქვას აგრძნობინებს „ტოტენჰემის“ განთქმულ მეგოლეებს — ჟერმენ დეფოს, ფრედი კანუტსა და რობი კინს.

გუშინ „ტოტენჰემმა“ კიდევ ერთი ტრანსფერი განახორციელა — „მამლებმა“ ფინეთის ნაკრების 25 წლის ნახევარმცველი ტეემუ ტაინიო შეიძინეს. ფინელი ფრანგული „ოსერიდან“ ჩავიდა ლონდონში და მწვრთნელმა მარტინ იოლმა დიდად შეაქო, შენი იმედი მაქვსო.

**ირაკლი გამყრელიძე**

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისის** ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ტრავმებით გაწამებული მცველი ჯონათან ვუდგეიტი თებერვლის ბოლოს მინდორს დაუბრუნდება. „რეაბილიტაციის პერიოდი კარგად მიდის და დიდი იმედი გვაქვს, რომ იგი სულ ცოტა ერთ თვეში თამაშს განაახლებს. ყოველ შემთხვევაში, ჭორები, თითქოს ვუდგეიტი კარიერის დასრულებას ფიქრობდეს, სისულელეა. უბრალოდ, იქამდე ვიცდით, სანამ ჯონათანი 100 პროცენტით არ გამოჯანმრთელდება“ — განაცხადა ვუდგეიტის აგენტმა რაიმონ ბაილოფმა.

მაკაბი: ბადრიძე (12), გვარამაძე (5), კორკოტაძე (17), ფიცხელაური (16), ვაშაკიძე (18); ერგემლიძე (8)
მსაჯები: მაკა კუპატაძე, ლიკა ქაჯაია
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**ირაკლი პერტაია**

**გუშინდელი** ტურის ცენტრალური შეხვედრა, თსუ — „თუჯი" ზაზა მაჩალაძეს უნდა ემსაჯა, მაგრამ მას გუშინწინ ღამით ძალიან ცუდი ამბავი შეემთხვა და ახლა რეანიმაციაშია.

გუშინწინ თელავში ჩატარდა „ბურჯისა" და „დინამოს" მატჩი, რომელიც წინასწარშედგენილი კალენდრის თანახმად გუშინ უნდა გამართულიყო, მაგრამ ერთი დღით დააჩქარეს. ჰოდა, ამ მატჩის განსასჯელად გაგზავნეს საქართველოს მოქმედ არბიტრთაგან ერთადერთი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ზაზა მაჩალაძე და როცა ის თელავიდან ბრუნდებოდა, ავარიაში მოყვა.

რა როგორ იყო, ნაკლები მნიშვნელობა აქვს, მთავარი ახლა მაჩალაძის გადარჩენაა, რომელსაც ღუდუშაურის კლინიკაში თავის მეტად მძიმე ოპერაცია გაუკეთეს. ზაზა ჯერაც უგონოდაა და ექიმები იმედოვნებენ, რომ მდგომარეობიდან გამოვა.



არადა, თსუ — „თუჯის" მატჩი სწორედ ისეთი დაძაბული გამოდგა, მაჩალაძის მკაცრი ხელი რომ სჭირდებოდა. აყალმაყალი და არეულობა არ მომხდარა, მაგრამ მატჩის უკანასკნელმა წუთებმა დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა და მსაჯების გადაწყვეტილებაზეც ბევრი რამ იყო დამოკიდებული.

ეს გუნდები დაახლოებით ერთი კალიბრისანი არიან, თუმც გუშინ სტუდენტებს უფრო უჭირდათ, რადგან ძირითადი შემადგენლობის სამი კალათბურთელი აკლდათ და მიუხედავად იმისა, რომ „თუჯში" დისკვალიფიცირებული არჩილ ჟღენტი არ თამაშობდა, წინასამატჩო უპირატესობა მაინც ქვემოქართლელების იყო.

თსუ-ს აკლდა გამოცდილი ფორვარდი ნუგზარ კოკოლიშვილი, რომელიც, ვითარებიდან გამომდინარე, ცენტრად თამაშობს და არცთუ ურიგოდ. ჰოდა, მის არყოფნაში რუსთაველებმა ფარქვეშეთზე გადაიტანეს ყურადღება და თამაში დანელიან-ტყეშელაშვილის ტანმაღალი წყვილით დაიწყეს.

ამ დუეტის აქტიურობით იხვეჭდა ქულებს „თუჯი", თორემ უკანა ხაზში აშკარად დაიჩაგრა. სტუდენტების განზრახვაც გასაგები იყო: ისინი ტანმაღალ რუსთაველებს არ „გამოეკიდნენ" და ფეხმარდი დაბლების მარიფათით კომფორტულად გრძნობდნენ თავს.

განსაკუთრებით გამოსარჩევია სტუდენტთა ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი მაისურაძის გონივრული თამაში. ცნობილია, რომ „მაისას" ძალიან უყვარს სამქულიანების ტყორცნა და როცა სროლა წაუვა, თუ სულ მარტო არ დაიგულა თავისიანი, პასის მიცემა ეხამუშება. გუშინ კი ის სამიანებსაც წარმატებით ესროდა, არც პასები ავიწყდებოდა და დაცვაშიც ყაირათიანად ირჯებოდა. ორი ქულით წაგებული საწყისი მეოთხედის შემდეგ თსუ-მ სწორედ მაისურაძის ქულა-პასებით მოიპოვა ათქულიანი ლიდერობა — 37:27 ტაიმის დასრულებამდე სამი წუთით ადრე.

რუსთაველები სტუდენტთა უპირატესობის გაბათილებას კვლავ ფარქვეშიდან შეეცადნენ და ლევან ტყეშელაშვილის ქულებით ტაიმის ბოლოს ჩამორჩენა ხუთამდე შეამცირეს.

შესვენების შემდეგ თსუ-მ საიმედო დაცვა დააყენა და მეტოქეს მესამე მეოთხედის საწყის ოთხ წუთში ბურთი არ ჩააგდებინა. სტუდენტების ათქულიანი ლიდერობა ისევ აღდგა და სწორედ ამ მომენტში დაშავდა ირაკლი მაისურაძე, რომელმაც მოედანი იძულებით დატოვა, „თუჯმა" კი შვება იგრძნო.

უკანასკნელი მეოთხედის დაწყებამდე თსუ 56:50 იგებდა და მოედანზე ხუთივე ახალგაზრდა ჰყავდა. როცა გამოცდილებამ თავისი გაიტანა და რუსთაველებმა წამოწევა იწყეს, მამუკა ტურაშვილმა თამაშში თავისი ძველი ვითელი თანამებრძოლი ირაკლი ბაქრაძე ჩართო, რომელმაც შავი სამუშაოს შესრულება იტვირთა.

„თუჯი" მაინც ჯიქურ უტევდა და დავით არწივაძისა და დავით მურჯიკნელის წუთიერი აფეთქებით სტუდენტების სამი ქულით, 60:63 მიუახლოვდა, აქ კი უწვერულმა სტუდენტმა ნოდარ ბერაიამ იყოჩაღა, რომელმაც სამქულიანი მიითვალა და მასპინძლებს გული საგულეში ჩაუყენა.

თამაში დასასრულს უახლოვდებოდა, როცა თსუ-ს მოუსვენარმა გამთამაშებელმა გიორგი გაფრინდაშვილმა მეხუთე პერსონალური მიიღო და სათადარიგოთა სკამზე გადაჯდა. იქ კი სალი არავინ იჯდა და ტრავმირებულ ნიკა ვეფხვაძეს იძულებით მოუხდა მოედანზე გასვლა. მანაც თავი არ შეირცხვინა, თსუ-ს შეტევების ორგანიზება იტვირთა და თუ პასს არ გასცემდა, თავად იხვეჭდა მისი გუნდის მხსნელ ქულებს.

ერთ-ერთი საკვანძო ბურთი კი ახალგაზრდა დავით ხიზანიშვილმა ჩააგდო, რომელიც მანამდეც ხეირიანად ირჯებოდა, მაგრამ სირენამდე ორი წუთით ადრე ჩაგდებულ მის ორქულიანს მაინც სულ სხვა, სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. „ხიზანამ" „ვეფხვის" პასი შეირგო და საშუალო დისტანციიდან ზუსტი სროლით თსუ 72:67 დააწინაურა.

დარჩენილ ორ წუთში „თუჯმა" მხოლოდ ის მოახერხა, რომ თსუ-ს ქულით მიუახლოვდა, მაგრამ იმავ ვეფხვაძემ იყოჩაღა და სტუდენტებს პრინციპული მეტოქე დაამარცხებინა.

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

26 იანვარი

**მილუოკი 115:121 ფინიქსი**

მილუოკი: უილიამსი (17), რედი (27), მეისონი (19), სმიტი (8), გაძურიჩი (8); ჯეიმსი (15), ფაჩულია (13 წუთი, 13 ქულა, 7 მოხსნა, 1 ჩაჭრა), ვან ჰორნი (4), კუკოჩი (2), სტრიკლენდი (2)
ფინიქსი: ნეში (21 ქულა, 17 პასი), ჯონსონი (17), რიჩარდსონი (18), მარიონი (24 ქულა, 12 მოხსნა), სტუდემაიერი (23); ჯეკსონი (11), ჰანტერი (5), ვოსკული (2)

**დეტროიტი 87:70 დენვერი**

დეტროიტი: ბილაფსი (7 ქულა, 10 პასი), ჰამილტონი (10), პრინსი (12), რ. ვოლესი (11 ქულა, 11 მოხსნა), ბ. ვოლესი (14 ქულა, 12 მოხსნა); მაკდაიესი (13), აროიო (12), დიუპრე (8), ჰანტერი, ჰემი, მილიჩიჩი
დენვერი: მილერი (10), ბაკნერი (4), ენტონი (5), მარტინი (2), კემბი (10 ქულა, 14 მოხსნა); ბოიკინსი (14), ნენე (9), ელსონი (8), ჯონსონი (4), ვაიტი (4), *ცქიტიშვილი* (3 წუთი, 1 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება), რასელი

**ტორონტო 96:111 მაიამი**

ტორონტო: ალსტონი (29), ბოში (27)
მაიამი: ონილი (33 ქულა, 18 მოხსნა), ე. ჯონსი (23), ვეიდი (16 ქულა, 10 პასი)

**კლივლენდი 114:111 მემფისი**

კლივლენდი: ჯეიმსი (27 ქულა, 15 პასი, 9 მოხსნა), გუდენი (27 ქულა, 11 მოხსნა), ილგაუსკასი (22 ქულა, 9 მოხსნა, 5 დაფარება)
მემფისი: მილერი (28), უილიამსი (20)

**მინესოტა 104:87 ატლანტა**

მინესოტა: სპრიუელი (32), შჩერბიაკი (18), გარნეტი (17 ქულა, 10 მოხსნა)
ატლანტა: ჰარინგტონი (17 ქულა, 12 მოხსნა), უოლკერი (15)

**პორტლენდი 88:95 დალასი**

პორტლენდი: სტუდემაიერი (22), რენდოლფი (19)
დალასი: ნოვიცკი (24 ქულა, 15 მოხსნა, 6 პასი)

**გოლდენ სტეიტი 99:113 ნიუ ჯერსი**

გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (31), მერფი (21 ქულა, 10 მოხსნა)
ნიუ ჯერსი: სკალაბრინი (29 ქულა, 10 მოხსნა), ბაფორდი (20), კიდი (17), კარტერი (17)

**ბოსტონი 100:86 ინდიანა**

ბოსტონი: პირსი (23), დევისი (18)
ინდიანა: ონილი (24), ჯეკსონი (17)

**ვაშინგტონი 117:107 ფილადელფია**

ვაშინგტონი: არენასი (33), ჯემისონი (23), დიქსონი (22)
ფილადელფია: გრინი (32), ტომასი (17)

**ნიუ ორლეანი 77:82 ჰიუსტონი**

ნიუ ორლეანი: დიკაუ (23 ქულა, 10 პასი), ბრაუნი (17 ქულა, 10 მოხსნა), ნეილონი (17)
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (33), მინგი (12 ქულა, 13 მოხსნა)

**იუტა 109:100 სიეტლი**

იუტა: ლოპესი (20 ქულა, 11 პასი), ბელი (18), ოქური (17), ჰარპრინგი (17)
სიეტლი: ალენი (27), დანიელსი (25), რიდნორი (17)

**კლიპერსი 105:89 ლეიკერსი**

კლიპერსი: ბრენდი (28 ქულა, 14 მოხსნა), საიმონსი (21), მეჯიტი (20)
ლეიკერსი: ეტკინსი (17), ბატლერი (16)

### აღმოსავლეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 20 | 22 | 47,6 |
| ფილადელფია | 19 | 22 | 46,3 |
| ტორონტო | 19 | 25 | 41,9 |
| ნიუ იორკი | 17 | 24 | 41,5 |
| ნიუ ჯერსი | 16 | 26 | 38,1 |
| **ცენტრალური** | | | |
| კლივლენდი | 25 | 16 | 61,0 |
| დეტროიტი | 24 | 18 | 57,1 |
| ჩიკაგო | 21 | 19 | 52,5 |
| ინდიანა | 20 | 20 | 50,0 |
| მილუოკი | 15 | 25 | 37,5 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| მაიამი | 31 | 13 | 70,5 |
| ვაშინგტონი | 26 | 15 | 63,4 |
| ორლანდო | 22 | 19 | 53,7 |
| შარლოტი | 8 | 30 | 21,1 |
| ატლანტა | 8 | 32 | 20,0 |

### დასავლეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 34 | 10 | 77,3 |
| დალასი | 28 | 13 | 68,3 |
| ჰიუსტონი | 24 | 19 | 55,8 |
| მემფისი | 24 | 20 | 54,5 |
| ნიუ ორლეანი | 7 | 34 | 17,1 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| სიეტლი | 29 | 12 | 70,7 |
| მინესოტა | 23 | 19 | 54,8 |
| დენვერი | 17 | 25 | 40,5 |
| პორტლენდი | 16 | 25 | 39,0 |
| იუტა | 15 | 28 | 34,9 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 34 | 10 | 77,3 |
| საკრამენტო | 28 | 12 | 70,0 |
| ლეიკერსი | 22 | 18 | 55,0 |
| კლიპერსი | 20 | 22 | 47,6 |
| გოლდენ სტეიტი | 12 | 30 | 38,6 |




ნიუჯერსელ ბრაიან სკალაბრინს გოლდენსტეიტერი ჯეისონ რიჩარდსონი დააცხრა

# ერთი იყოს და ნაღდი

## სახელმწიფო ლატარიებს გააერთიანებს

საქართველოში, აზარტული თამაშები გამორჩეული პოპულარობით სარგებლობს. საზოგადოება ათასგვარ ლატარიასა თუ სხვა ტიპის თამაშებისადმი იმხელა ინტერესს იჩენს, ამ ბიზნესით დაკავებულთ ახალ-ახალი იდეის განხორციელებაც თამამად შეუძლიათ და გადასაფხეკი თუ შესავსები ბილეთების ნაირგვარობაც თვიდან თვემდე იზრდება. ამ საქმიდან სახელმწიფოს ბიუჯეტში შესული თანხის ოდენობაზე და პროცენტებზე ვერაფერს ვიტყვით, თუმცა სახელმწიფოს რომ სათამაშო ბიზნესის საკუთარ ჩარჩოებში მოქცევა სურს და ერთ ძლიერ მონოპოლისტთან თანამშრომლობა უჯობს, ამაზეც კარგა ხნის წინ დაიწყო საუბარი.



მოს კუპერი და გიორგი გაბაშვილი

ბადრი კოთიაშვილის ფოტო

გუშინ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე ეროვნული ლატარიის დაფუძნების იდეა ოფიციალურად გახმაურდა. „უმნიშვნელოვანეს საქმეს ვიწყებთ. იგი ჩვენი კულტურისა და სპორტის დაფინანსების დამატებით წყაროდ უნდა იქცეს“ — გვითხრა მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა და ინგლისის ხელოვნების საბჭოს ინვესტიციების პროგრამის დირექტორი მოს კუპერი წარმოგვიდგინა — ახალი სისტემის უკეთ ჩამოსაყალიბებლად დახმარებისთვის ევროსაბჭოს მივმართეთ და მათაც ამ საქმის ექსპერტი გამოგვიგზავნესო.

მოს კუპერმა პირველ რიგში „ეროვნული ლატარიის“ ევროპულ წარმატებებზე ჩამოაგდო სიტყვა, აქაოდა, უმთავრესი საქმე ის იქნება, რომ ამ ბიზნესიდან შემოსული თანხები პირდაპირ კულტურისა და სპორტის განვითარებაში წავაო. „მართალია, საქართველოს პატარა ქვეყანაა და, ბრიტანეთის დარად, ლატარიის წლიური ბრუნვა 60 მილიარდს ვერ შეადგენს, მაგრამ მთავარია, იგი მასობრივი გახდეს და ხალხმა დაინახოს, რომ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას უწყობს ხელს. იმედია, ეს პროექტი თქვენს ქვეყანაშიც ისეთივე წარმატებული იქნება, როგორც სხვაგან“, – დასძინა სტუმარმა.

გაბაშვილს იდეის განხორციელების ვადებზეც დავეკითხეთ. სავარაუდოდ გაზაფხულზეო – გვიპასუხა მინისტრმა. მანამდე კი საერთაშორისო ტენდერი გამოცხადდება, რომელშიც ყველაზე გამართული ინფრასტრუქტურის შემდგენელს აირჩევენ და სათამაშო მონოპოლიას 10 წლის ვადით გადასცემენ. სწორედ იმ გამარჯვებულ კომპანიასა თუ კომპანიათა ჯგუფზე იქნება დამოკიდებული კერძო მომენტალურ სათამაშო ლატარიათა მომავალი.

ბოლოს კუპერის ერთი მაგალითიც: თურმე ბრიტანეთში ლატარიას მოსახლეობის 70 პროცენტი თამაშობს. ბევრით მეტი მაჩვენებელი არც სხვა ევროპულ ქვეყნებში ყოფილა. საქართველოს ამ მხრივ ალბათ ვერავინ შეეჯიბრება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

რაგბი

ცამეტკაცა რაგბი მსოფლიოში საკმაოდ პოპულარული სპორტის სახეობაა, რომელიც საქართველოში უმაღლეს დონეზე ჯერ არასდროს უთამაშიათ, ამიერიდან კი ცამეტკაცა რაგბის ნაკრები ჩვენც გვყავს და მისი პირველი შემადგენლობა გუშინ სპორტის დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოცხადდა

# ცამეტი ქართველი

საქართველოს ლიგის რაგბის ფედერაცია, დამოუკიდებელი სპორტული ორგანიზაციაა და რაგბის ფედერაციის შემადგენლობაში არ შედის. მისი პრეზიდენტი ბატონი პაატა ცინცაძეა, გენერალური მდივანი კი ნოდარ ანდღულაძე. მათ გარდა გუშინდელ პრესკონფერენციას ნაკრების პირველი წევრებიც ესწრებოდნენ.

ფედერაცია 6 თვის ჩამოყალიბებულია, პრესკონფერენცია კი გაწეული სამუშაოს შეგეგებაზე საუბრის გარდა სამომავლო მიზნების გცნობასაც ითვალისწინებდა. გაწეული სამუშაოს უმთავრესი შედეგი, ბუნებრივია, ეროვნული გუნდის ჩამოყალიბება გახლდათ, რომელსაც ამიერიდან „13 ქართველი“ ეწოდება. იდეა კატალონიელთაგანაა ნასესხები. მათ ნაკრებს „13 კატალონიელი“ ჰქვია, თუმცა, როგორც ფედერაციის პრეზიდენტმა აღნიშნა, ეს მეტსახელი ოფიციალური არაა და კიდევ შეიძლება შეიცვალოს. ნაკრების ბირთვს პირველი ქართული ცამეტკაცა კლუბის, „თბილისის რაინდების“ მოთამაშეები წარმოადგენენ. მათ გარდა გუნდში „ლელოს“, „ხულიგანასა“ და „უნივერსიტეტის“ მორაგბეებიც არიან.

ლიგის რაგბის თამაშის სურვილი 60-მდე მორაგბემ გამოთქვა, მაგრამ ხამოელმა სპეციალისტმა რიჩარდ ალემ, რომელიც ნაკრების სამწვრთნელო შტაბის წევრია, მათგან 26 შეიგულა. ესენი არიან:

კახა ალანია (კაპიტანი), ნოდარ ანდღულაძე, გიორგი ასათიანი, ვახტანგ ახვლედიანი, რეზო გიგაური, სანდრო გილაური, კახა კობახიძე (ვიცე-კაპიტანი), გიორგი კობერიძე, დავით კობეშავიძე, ზურაბ მოგელაძე, ნიკა მხეიძე, ლადო ნიკურაძე, გრიგოლ ნიშნიანიძე, დათო ქამუტაშვილი, ბექა სარდანაშვილი, შოთა ბაზარაშვილი, გიორგი ტრაპაიძე, ფრიდონ უდესიანი, ბესო ქარაბაკი, თემურ ქობელაშვილი, ირაკლი ქორიძე, ირაკლი ღვინჯილია, არჩილ ჭიჭინაძე, ლუკა ხაჩირაშვილი, გიორგი ხოსტაშვილი, ედიშერ ჯამბულიძე.

გუნდს სამომავლო კალენდრის პირველი მონახაზიც მზად აქვს, რომელიც საკმაოდ საინტერესოდ გამოიყურება.

28 თებერვალს გუნდი ფრანგულ პერპინიანში გაემგზავრება, სადაც მზადებასაც გაივლის და, სავარაუდოდ, სამ საკონტროლო მატჩსაც გამართავს. მათ შორის ერთ-ერთ თამაშს სწორედ ზემოთ ნახსენებ „13 კატალონიელთან“, რომელიც სპორტის ამ სახეობაში ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად ითვლება, დანარჩენ ორ თამაშს კი ჩვენი ნაკრები საფრანგეთის I და II დივიზიონების გუნდებთან გამართავს. შეკრების განმავლობაში ჩვენს გუნდს ავსტრალიელები მაიკლ ალდოუსი და ტრენტ რობერტსონიც უმწვრთნელებენ. პირველი მათგანი საფრანგეთის ნაკრების თავკაცია, კონტრაქტი აპრილში უმთავრდება და მის გამომბირებაზე ჩვენს სამწვრთნელო შტაბში სერიოზული ლაპარაკია, მეორე კი კლუბ „ტულუზის“ მოთამაშე-მწვრთნელი გახლავთ.

2 აპრილს ჰოლანდიურ როტერდამში ჩვენებურები პირველი ტესტმატჩის გამართვას გეგმავენ მასპინძელთა გუნდთან.

5-6 აგვისტოს „13 ქართველი“ ჰოლანდიას დაუბრუნდება და როტერდამის თასზე ითამაშებს, სადაც ჩვენი და მასპინძელი გუნდების გარდა, იტალიელები და სერბებიც გამოვლენ.

სექტემბრის ბოლოს საქართველოში ავსტრალიის საუნივერსიტეტო ნაკრები გვეწვევა და მათთან გაჯიბრებაც არ უნდა იყოს უინტერესო. სტუდენტებთან ჩვენებურები 2 მატჩს ჩაატარებენ.

რაც შეეხება ნაკრების ბაზას, ის უცილებლად დასავლეთ საქართველოში იქნება, თუმცა ზუსტი მდებარეობა ჯერ დაუდგენელია. დასავლეთ საქართველოს კი იმად აურჩევიათ, რომ იქ რაგბის სათამაშოდ უკეთესი კლიმატური პირობებია.

**ლადო ფულუძიძე**

კრივი

# ლენოქსი დედამ არ გაუშვა

**ამხელა ხმაურით** წამოწყებული საქმე — ლენოქს ლუისის რინგზე დაბრუნება და ნოემბერში ვიტალი კლიჩკოსთან ჩხუბი, მგონი დასაწყისშივე ჩაიშალა.

ლუისს 30 მილიონი დოლარი შესთავაზეს ამ ბრძოლისთვის. და მანაც თქვა, ყაბულს ვარო. ოღონდაც, საქმეში ჩარეულა ლენოქსის ახირებულობით განთქმული დედა ვაიოლეტი და „დეილი მეილის“ ცნობით, გადაუთქმევინებია კიდეც.

ლუისს მამა არც ახსოვს და დედის გაზრდილია, თანაც ვაიოლეტი ყველა ბრძოლაზე თან ახლდა შვილს და მასზე გვარიანი გავლენაც ჰქონდა. ჰქონდა და აქვს კიდეც, როგორც ჩანს.

მეტი, ჯერჯერობით, უცნობია.



ჰოკეი

# ნათელია, რომ არაფერია ნათელი

## ოთხშაბათს ტორონტოში ლიგის და პროფკავშირის მოლაპარაკების მორიგი რაუნდი გაიმართა, რომლის შემდეგ სპეციალისტებმა ერთადერთი დასკვნა გამოიტანეს: ნათელია, რომ ჯერ არაფერია ნათელი

**მოგეხსენებათ,** წინა კვირას მხარეები ორჯერ შეხვდნენ და ორივე შემთხვევაში ოპონენტებმა მეტნაკლებად გასაგები კომენტარი გააკეთეს. ჩიკაგოური სამიტის შემდეგ გარკვევით ითქვა, რომ კარგი დიალოგი გაიმართა, რის შემდეგაც ჰოკეის ქომაგთ იმედის საბაბი გაუჩნდათ. მაგრამ მეორე დღეს ტორონტოში გამართული შეხვედრა რომ დასრულდა, ასევე მკაფიოდ ითქვა, რომ მხარეებს შორის კვლავაც აზრთა სხვადასხვაობაა. ასოციაციის ერთ-ერთმა ლიდერმა, ტრევორ ლინდენმა ისიც კი განაცხადა, რომ ამ ეტაპზე დიალოგს აზრი არა აქვს.

ასეა თუ ისე, აქამდე საზოგადოება კარგად იყო გარკვეული სიტუაციაში, ახლა კი სულ სხვაგვარი ვითარება შეიქმნა. ხუთსაათიანი საუბრის შემდეგ მხარეებმა ისეთი ლაკონიური კომენტარები გააკეთეს, რომ ყველაზე გამჭრიახი გონების მქონე ადამიანიც კი ვერ გამოიტანდა ვერანაირ დასკვნას. თავად განსაჯეთ, ლიგის ვიცე-პრეზიდენტმა ბილ დეილიმ მხოლოდ ის თქვა, რომ ამჟამად ის ყველანაირი კომენტარისგან თავს იკავებს და დასძინა, ამ კვირაში კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართებაო.

აბსოლუტურად იგივე გაიმეორა ნჰლპა-ს აღმასრულებელმა დირექტორმა ტედ სასკინმა. ერთადერთი, რაც არ დამალეს ოპონენტებმა, ის იყო, რომ მოლაპარაკება კრიტიკულ სტადიაში შედის, ვინაიდან დრო პრაქტიკულად აღარ რჩება. თუმცა ეს ხომ ისედაც ცხადი იყო.

ერთი სიტყვით, ყველაფერი ისეთი სქელი ნისლითაა მოცული, რომ ვერავინ ვერაფერს ამბობს. ზოგი სპეციალისტის თქმით, ეს უბრალოდ აქციაა ლიგის მხრიდან — ვითომცდა ცდილობს სეზონის გადარჩენას, მაგრამ სინამდვილეში თავისთვის უკვე ყველაფერი გადაწყვიტა. თუმცა უფრო ოპტიმისტური აზრიც გამოითქვა. ბოლოს და ბოლოს, სულელი ხომ არ არის ის ექვსი ადამიანი, რომლებიც უკვე მეორე კვირაა ელაპარაკებიან ერთმანეთსო. თან მომდევნო შეხვედრაც სავარაუდოდ საკმაოდ მალე გაიმართება.

ოპტიმისტების აზრით, ისიც კარგია, რომ მხარეები ასე საიდუმლოდ მოქმედებენ.

სხვათა შორის, ამას თავად მოლაპარაკების მონაწილეებიც ამბობენ. და კიდევ, ოთხშაბათს ტორონტოში სხვა შეხვედრაც გაიმართა, რომელსაც ლიგის წარმომადგენლები და ნჰლ-ის ექვსი კლუბის მწვრთნელები ესწრებოდნენ. ამ შეხვედრამდე ოფიციალურად გამოცხადდა, რომ თამაშის გაუმჯობესებაზე იქნება საუბარი და ლოკაუტის საკითხი არ განიხილებაო, მაგრამ ვინ იცის, რა ხდებოდა დახურული კარს მიღმა. თავად ამ შეხვედრის გამართვის ფაქტი კი საკმაოდ ნიშანდობლივია.

**სამველ ლარიბიანი**

# ავსტრალიის ღია პირველობა 2005

## მელბურნი. მაგარსაფარი



REUTERS

ეს დღეც დადგა, მარატ საფინმა უძლეველ როჯერ ფედერერს სძლია

# ლოდი ფედერერის ზოსტანში

**ნახევარფინალი**

**კაცები**

**მარატ საფინი (4, რუსეთი) — როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) 5:7 6:4 5:7 7:6 (8:6) 9:7**

**ქალები**

**ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) — ნატალი დეში (19, საფრანგეთი) 2:6 7:6 (7:5) 6:4; სერენა უილიამსი (7, აშშ) — მარია შარაპოვა (4, რუსეთი) 2:6 7:5 8:6**

**უკვე** კარგა წელიწადნახევარი იყო, ხელიდან როჯერ ფედერერის სადღეგრძელებელი ჭიქები არ გაგვეშვა. დღეს კი მეთაური სადღეგრძელო — ცხადია, მშვიდობისა და რამის შემდეგ — სწორედ გუშინ გაოცდახუთწლისებულსა და ამ იუბილის უშთამბეჭდავესი გამარჯვებით აღმნიშნავ მარატ საფინს ეკუთვნის.

დანარჩენ ამქარზე ფარაონივით მოდომინანტე ფედერერს გუშინდლამდე გამართულ ზედიზედ 26 მატჩში ჩოგანი არავისთან დაეხარა და თავად საფინთან საკარიერო დაპირისპირებაშიც 6:1-ით იყო წინ. თითქოს ისე ჩანდა, რომ მეტოქეთა მიჯრით მწყსრავ პირველოსანს მხოლოდ ცუნამი ან სხვა რამ ბუნებრივი ფორსმაჟორი თუ შეაჩერებდა.

სწორედ ამგვარ ფორსმაჟორად მოგვევლინა გუშინ მარატ საფინი, ვინაც აქ ნახსენები ექვსიდან მარტო სამი ფედერერის შარშან დაუთმო და ამ სამიდან ერთი — ეგებ თქვენც გახსოვდეთ — შარშანდელი ავსტრალიიბის ფინალი გახლდათ.

ისე კი, მთელ ამ შესავლოსნობას იქნებ ახლა ისა სჯობდეს, უბრალოდ მივჭრათ — გუშინ ერთი ისეთი მატჩი ვიხილეთ, რაიც ათწლეულებს გაჰყვება და საჩოგბურთო ფორთა თაროებიდან იმაზე შემოიდება, რუბრიკად „CLASSICS" რომ უზის.

და მართლაც, გუშინდელ შეხვედრას არ აკლდა არაფერი, ამ კეთილშობილური სახეობის კლასიკისთვის რომ ეგების. ოთხი საათისა და 32 წუთის განმავლობაში მიმდინარე ამ შუშპარა, რაგინდრადარტყმა და რაგინდრაემოცია ორთაჩოგნაობას გულგრილი არავინ დაუტოვებია და ტელეეკრანთარ ისინიც კი მიიზიდა, ჩოგბურთს მხოლოდ ხამუშ-ხამუშ, შარაპოვას დაქნილი ფეხებისა ანაც დოკიჩის გომიჯივით მკერდისთვის უცქერენ.

როცა მეოთხედფინალში ფედერერმა ლამის მასზე უკეთესად მობურთალ ანდრე აგასის სეტისწაუგებლად გასცდა, ჩვენ ასე დავსძენდით — მის დასამარცხებლად რაღაც იმაზე მეტია საჭირო, ვიდრე 35 წლის დიადი არმენოამერიკელის სიბრძნე და დახვეწილობა. მარატ საფინი არც ბრძენია და არც — მით უფრო — დახვეწილი, მაგრამ მას აქვს ფედერერის დარად ზორბა მოწოდება — რაც თავისი გეიმის შენარჩუნების საშუალებას აძლევს — და ფედერერის დარადვე ჩოგანეწიფება უკანახაზიდან ხანგრძლივად და ღონიერად გლაჯუნი — რისი წყალობითაც ის არც ფედერერის დამთრგუნველი ალმატებულობის ქვეშ არ ექცევა და, პირუკუ, მასთან გალმა გადავებასაც ახერხებს. სწორედ ამ ორი კომპონენტში — ჯანიან მოწოდებასა და ნაუკანახაზევ ბრახუნში — შეთანაბრების გამო შეძლო მან ფედერერის ტიტანური თავდაჯერებულობის წნეხი აეტანა და მისი ნატიფი, უდახვეწილესი თამაშით არ და-არასრულფასოვნებისკომპლექსებულიყო. ხოლო ბოლო სეტში, როცა უკვე შეტევაზე გადასვლა იყო საჭირო, ის არა ერთ გადამწყვეტ მომენტში ბადესთანაც მიიჭრა და ყველა თანამქრელს დაანახა, რომ ფედერერიც სხვასავით მოწყვლადი მეჩოგნეა.

როჯერის სახოტბოდ კი ის უნდა ითქვას, რომ სხვა ყველაფერთან ერთად მან საოცარი მენტალური სიმყარე გამოავლინა და მეხუთე სეტში საფინს ექვსი მატჩბურთი მოუგერია.

თუმცა მატჩი მაინც სიმბოლურად დასრულდა — ბოლო გათამაშებისას საფინის მიერ გაქცუნებულმა ფედერერმა თავი ველარ შეიმაგრა და მუხლებზე დაცემულმაღა ნახა ის, თუ როგორ აგდებდა გამარჯვების ბურთს მეტოქე ცარიელ კორტში...

„ახლა ძალიან ძნელია ჩემი მდგომარეობის აღწერა — ამბობდა ნამატჩევს გამარჯვებული და იუბილარი — ამდენი მატჩბურთი მხოლოდ იმიტომ ვერ გამოვიყენე, რომ ვერ ვიჯერებდი, გამარჯვება ასე ახლოს თუ იყო, მე ხომ როჯერ ფედერერს ვეთამაშებოდი, კაცს, რომელიც მუდამ ახერხებს ჩემს შევიწროვებას და რომელსაც აქამდე ექვსჯერ დავემარცხებინე."

ბოლოს მხოლოდ იმას შევახსენებთ, რომ ეს საფინის უკვე მესამე — 2002 და 2004 წლების შემდეგ — ფინალი იქნება და მასში ან ლეიტონ ჰიუიტთან იბუქნავებს ანაც ენდი როდიკთან.

რაც შეეხება მდედრიონს, პირველოსანმა ლინდსი დევენპორტმა კიდევ ერთი უფერული გამარჯვება მოიპოვა, ხოლო სერენა უილიამსმა შური იძია შარშან უიმბლდონურ ფინალში განცდილი მარცხის გამო და შთამბეჭდავად დაგვიმტკიცა, რომ მისი ჩამოწერა ჯერ ნაადრევია. არადა, 17 წლის მარია შარაპოვა მეორე და მესამე სეტებში 5:4 იგებდა და გამარჯვებამდე ერთი ჩოგნის გაწვდენაღა აკლდა, მაგრამ უმცროსმა უილიამსდამ ორჯერვე შეძლო, ნორჩი მეტოქე გაეტეხა და მატჩის ვაგლახად შექანებული სასწორი სათავისოდ გადაეხარა. შევახსენებთ, რომ მან დაახლოებით ასეთივე ნახევარფინალი შემოატრიალა 2003 წელსაც, რომ კიმ კლაისტერსს მესამე სეტი 1:5-დან ამოუღო. იმ წელს მან ფინალშიც იმარჯვა და ახლა იმედოვნებს, რომ ტურნირის 2000 წლის ჩემპიონ თანაკალიფორნიელ დევენპორტსაც გაუსწორდება.

**ლევან ძელაურაძე**



## ხუთ რგოლს ადიდასიც დაამშვენებს

**ადიდასმა** გააფორმა კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც სპორტული ფირმის ეს მწარმოებელი გახდა ტურინის 2006 წლის ზამთრისა და პეკინის 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ოფიციალური სპონსორი.

ეს გარიგება [illegible] რაციის გეგმის ის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს „ადიდასის" მიერ ჩინეთისა და მთელი აზიის ბაზრის დაპყრობას.

ხელშეკრულების თანახმად, ადიდასი ეკიპირებით აღჭურვავს ოლიმპიური თამაშების ოფიციალურ თანამშრომლებს, მოხალისეებსა და არბიტრებს.



## ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი

**ჰოლანდია. 14-30 იანვარი**

**X ტური**

| | |
|---|---|
| მაიკლ ადამსი (ინგლისი) — ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) | 0,5:0,5 |
| ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) — რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) | 1:0 |
| ნაიჯელ შორტი (ინგლისი) — პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 0,5:0,5 |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) | 0,5:0,5 |
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 0:1 |
| ლაზარო ბრუზონი (კუბა) — ივან სოკოლოვი (ჰოლანდია) | 1:0 |
| ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) — პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0,5:0,5 |

# მადიარმა ქალმა თვისტომი კაცი აჩმირა

## ინდოელს კი კამიკაძე დაეჯახა

**დიდი** გადანაცვლებები მოხდა მეათე ტურში. შავი ფიგურებით მოთამაშე უნგრელი დიდოსტატი პეტერ ლეკო რუს ალექსანდრ მოროზევიჩს დაუზავდა და ამით ერთპიროვნული ლიდერობა მოიპოვა, თუმც უნდა ითქვას, რომ ეს მისი დამსახურება სულაც არ ყოფილა. ლეკო წარმატებას თავის თანამემამულე იუდიტ პოლგარს უნდა უმადლოდეს. სუპერტურნირის მონაწილე ერთადერთმა ქალბატონმა ასევე შავი ფიგურებით სპეციალისტების მიერ ნაქებ და აწ უკვე ყოფილ ერთპიროვნულ ლიდერს, ბულგარელ ვესელინ ტოპალოვს სძლია და მისი ადგილი ამით თავისიანს უბოძა.



პეტერ ლეკო უდავო ლიდერია

პოლგართან შეხვედრა ტოპალოვმა ლაზიერის გამბიტით დაიწყო, ცენტრში ფიგურები გაამწკრივა და მტერს პატარა დარტყმა მიაყენა. თუმცა ბრძოლები გლობალური არ აღმოჩნდა, ზარალი შესამჩნევი იყო. მეტოქეებმა ერთმანეთის ხელმწიფეების დაცვას სულ ბდღვირი ადინეს. 23-ე სვლაზე ბულგარელის ლაზიერი ცენტრში გამოვიდა, უკან კუ ამოიყენა და მეტოქის მხედარი მიზანში ამოიღო, მაგრამ პოლგარმა შეტევის განვითარება არ აცალა, ტოპალოვი ჩხუბში ნაადრევად ჩაითრია. მანდილოსანმა ოსტატურად მოიგერია ბულგარელის შეტევები, შემდეგ კი თვითონაც დაარტყა, ფიგურით მოგებაში დარჩა და 53-ე სვლაზე იმარჯვა კიდეც.



42-ე სვლაზე ანანდმა ზავი გამოაცხადა

დიდ წინააღმდეგობას გადააწყდა ინდუსი ვიშვანათან ანანდი მასპინძელ ლუკ ვან ველთან. ჰოლანდიელი მთელი თამაშის განმავლობაში კამიკაძესავით იბრძოდა, ფიგურებს არ ზოგავდა და ამით ინდუსს ჩანაფიქრის განხორციელების საშუალებას არ აძლევდა. პარტიის ერთ გვარიან მონაკვეთში ანანდი სამი პაიკითაც დაწინაურდა, მაგრამ ამ აფეთქებებში წესიერი სვლების გაკეთება გაუჭირდა და 42-ე სვლაზე ყაიმს დაჰყაბულდა.

ამ ტურის შემდეგ ტოტალიზატორებს უკვე აღარ ეიმედებათ ტოპალოვის და სუპერტურნირის სავარაუდო მომგებთა შორის იგი მესამე ადგილზე ჩაუშვეს 10 კოეფიციენტით. პირველი ლეკოა 1,9 კოეფიციენტით და მას უკან ინდუსი მისდევს 2,75 „კუშით".

**ლაშა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 6,5 ქულა |
| 2 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 6,0 |
| 3 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 6,0 |
| 4 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 6,0 |
| 5 | ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) | 5,5 |
| 6 | ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) | 5,5 |
| 7 | ლაზარ ბრუზონი (კუბა) | 5,5 |

# ხალხი ოვაციას მოგიწყობს!

## მხოლოდ ვარჯიშზე აღარ ვფიქრობ და ეს დავიმსახურე



ათენის ტრიუმფატორი კელი ჰოლმსი ახალ სეზონს მშვენიერ ხასიათზე ეგებება

ბრიტანელი კელი ჰოლმსისთვის ოლიმპიური ჩემპიონობა პრობლემა არ არის. ორი ათენური ოქრო, როგორც თავად ამბობს, მას არ თრგუნავს და საწუხარს არ უმატებს, ასე რომ, 34 წლის ვარსკვლავი შაბათს, „ნორვიჩ იუნიონ ინტერნეშენალზე“ თავისუფლად, ლაღად, შეუბოჭავად, ერთი სიტყვით ძველებურად აპირებს გასვლას

**საინტერესოა,** რომ 800 და 1500 მეტრზე რბენაში ათენური ტრიუმფის შემდეგ ჰოლმსი ბრიტანეთში პირველად ახლაღა გამოვა. 2004 წელს მან იმავე შეჯიბრებაში 1500 მეტრზე მოიპოვა ოქრო. ახლაც ამ დისტანციაზე აპირებს სირბილს.

„რატომ უნდა ვიყო შებოჭილი, მედლებს ხომ ვერავინ წამართმევს? — ამბობს ჰოლმსი — მე ისინი მაშინ მოვიგე, როდესაც აქტუალური იყო, ახლა კი შევეცდები ახალ შეჯიბრებაში მივაღწიო წარმატებას.“

ჰოლმსი იმედოვნებს, რომ მისი გამოსვლა „კელვინ ჰოლში“ ყველა ბილეთს გაყიდის და ეს ძალიან დიდ სტიმულს მისცემს.

„ერთი სული მაქვს, როდის გავალ სარბენ ბილიკზე. საერთოდაც, მინდა გამარჯვების ჩვეულება შევინარჩუნო. რაგინდარა შეჯიბრებაში მხოლოდ წარმატებისთვის ვმონაწილეობ, სხვებისა კი რა მოგახსენოთ. ყველამ თავისი საქმე იცის. თუ ვმარცხდები, ესე იგი ის, ვინც იმ დღეს მაჯობა, ჩემზე ძლიერია და ამის გამო სახიდან ლიმილს არ ვიშორებ. მე ხომ ვიცი, რა ოქროს მედლებიც მაქვს მოგებული და საწუწუნო ნამდვილად არაფერი მჭირს.“

რაც შეეხება შიშს, ასეთი ოლიმპიურ ჩემპიონს მაინც ჰქონია — წაქცევის შიში, რაც გასული წლის მარტში, დარბაზში ბოლო გამოსვლის, უფრო სწორად კი, წაქცევის შემდეგ გასჩენია.

„ნეტავ ასეთი რამ აღარ გამეორდებოდეს“ — ამბობს ის.

ბოლო სამი კვირის განმავლობაში კელი ჰოლმსი სამხრეთ აფრიკაში ვარჯიშობდა.

„ეს კონცენტრაციისთვის მჭირდებოდა. სამხრეთ აფრიკაში გადახვეწით ყურადღების მოახლოებულ შეჯიბრებაზე მოკრება შევძელი.

ისე, გულწრფელად რომ გითხრათ ჩემი იქაური ცხოვრება მხოლოდ ვარჯიშისგან არ შედგებოდა, რასაც ადრე ნამდვილად ვერ გავბედავდი, მაგრამ ვფიქრობ, ეს ყველაფერი უკვე დავიმსახურე. მეორე მხრივ კი, როდესაც სავარჯიშოდ მივდიოდი სრულ კონცენტრაციას ვახერხებდი“ — გულახდილად ბრძანებს ოლიმპიური ჩემპიონი, რომლისთვისაც ათენის ტრიუმფამდე ტრავმებიც არ ყოფილა უცხო.

„სარბენ ბილიკზე დგომა ჩემთვის ძალიან დიდი სიამოვნებაა. ბრიტანეთში ყოველთვის ოვაციით მხვდებოდნენ, ახლა კი ვფიქრობ, კიდევ უფრო თბილი შეხვედრა მელის. განსაკუთრებული თრთოლვით ველოდები მომენტს, როდესაც მწკრივში ჩამდგარს გამომაცხადებენ, ჩემს სახელსა და გვარს ოლიმპიურ ტიტულებს დაამატებენ და ტრიბუნებიდან ემოცია ამოიფრქვევა.

აქამდე, ყოველ წელიწადს შემემთხვეოდა ხოლმე რაიმე. საიდანღაც გამოვარდნილი მიზეზის წინააღმდეგ ბრძოლა მიწევდა და ერთი ხანობა იმასაც კი ვფიქრობდი, რომ ჩემს ოცნებას ახდენა არ ეწერა. წინასწარ რომ მცოდნოდა, რაც მოხდებოდა, ის წლები უფრო იოლად გადასატანი გახდებოდა, დღეს კი უკვე 34 წლის გახლავართ და თავს გადახდენილს სხვა პოზიციიდან ვაანალიზებ.

იცით, თავს ვეკითხები რამდენი ხანი შეიძლებოდა დამჭირვებოდა მიზნის აღსრულებისთვის, საქმე სხვანაირად რომ წამეყვანა, მაგრამ მგონი რაც მოხდა, სწორედ ის იყო ყველაზე ოპტიმალური.“

რაც შეეხება ევროპის დარბაზთა ჩემპიონატს, რომელიც მარტში მადრიდში უნდა გაიმართოს, მასში მონაწილეობა— არმონაწილეობის საკითხს ათენის ტრიუმფატორი ბოლოწამს გადაწყვეტს.

„ნამდვილად ვერაფერს მოგახსენებთ, ბირმინგემის გრანპრის დასრულებამდე (18 თებერვალი) მადრიდში ჩავალ თუ არა.“

და კიდევ, სპორტთან გამოსამშვიდობებლად შესაძლოა საუკეთესო დრო გაისად დაუდგეს, როდესაც მელბურნში თანამეგობრობის თამაშები გაიმართება.

„ზუსტი და ამომწურავი გეგმები არ მაქვს. ყოველ კვირას ვვარჯიშობ და საკუთარ თავ ვაკვირდები. ვაპირებ, ყოველი მომდევნო კონკრეტული გარბენისთვის მოვემზადო და ამიტომაც არ წავედი სპორტიდან უშუალოდ ოლიმპიადაზე გამარჯვების შემდეგ — ახლა ამაზე ნელ-ნელა ფიქრი და საგანგებოდ შემზადება უკვე იოლია.“

**ტუტა სიხარულიძე**



## მსოფლიოს XIX ჩემპიონატი. ვაჟები

ტუნისი. 23 იანვარი - 6 თებერვალი

### A ჯგუფი

საბერძნეთი 26:21 ანგოლა
საფრანგეთი 26:26 ტუნისი
დანია 52:18 კანადა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დანია | 3 | 0 | 0 | 126:60 | 6 |
| ტუნისი | 2 | 1 | 0 | 107:69 | 5 |
| საბერძნეთი | 2 | 0 | 1 | 69:67 | 4 |
| საფრანგეთი | 1 | 1 | 1 | 89:62 | 3 |
| ანგოლა | 0 | 0 | 3 | 63:112 | 0 |
| კანადა | 0 | 0 | 3 | 54:138 | 0 |

### B ჯგუფი

ისლანდია 31:22 ქუვეითი
რუსეთი 25:21 ჩეხეთი
სლოვენია 33:27 ალჟირი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 0 | 0 | 91:54 | 6 |
| სლოვენია | 3 | 0 | 0 | 101:78 | 6 |
| ისლანდია | 1 | 1 | 1 | 98:90 | 3 |
| ჩეხეთი | 0 | 2 | 1 | 84:88 | 2 |
| ალჟირი | 0 | 1 | 2 | 79:90 | 1 |
| ქუვეითი | 0 | 0 | 3 | 50:103 | 0 |

### C ჯგუფი

ხორვატია 38:18 ავსტრალია
იაპონია 27:25 არგენტინა
ესპანეთი 33:26 შვედეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 0 | 0 | 125:67 | 6 |
| ხორვატია | 3 | 0 | 0 | 108:66 | 6 |
| შვედეთი | 2 | 0 | 1 | 105:72 | 4 |
| იაპონია | 1 | 0 | 2 | 74:100 | 2 |
| არგენტინა | 0 | 0 | 3 | 71:93 | 0 |
| ავსტრალია | 0 | 0 | 3 | 53:138 | 0 |

### D ჯგუფი

გერმანია 40:15 ყატარი
ეგვიპტე 24:20 ბრაზილია
სერბეთი 25:24 ნორვეგია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 3 | 0 | 0 | 98:63 | 6 |
| ნორვეგია | 2 | 0 | 1 | 91:59 | 4 |
| სერბეთი | 2 | 0 | 1 | 81:74 | 4 |
| ეგვიპტე | 2 | 0 | 1 | 73:70 | 4 |
| ბრაზილია | 0 | 0 | 3 | 55:88 | 0 |
| ყატარი | 0 | 0 | 3 | 63:107 | 0 |



REUTERS სურათი

ესპანელთაგან საუკეთესომ მარიანო ორტეგამ ტომას სვენსონს შვიდჯერ გაუტანა

# დანიამ კანადა გამოიჭირა

**მესამე** ტურში გაირკვა რამდენიმე გუნდი, რომლებმაც ვადამდე გაინაღდეს მომდევნო, ასევე წრიულ ეტაპზე გასვლა. თუმც ამით დარჩენილ მატჩებს დაძაბულობა არ მოაკლდება, რადგან ჯგუფებიდან წინ წასულ სამეულებს ურთიერთთამაშების შედეგი გადაჰყვებათ. მერე კიდევ სამ-სამ შეხვედრას გამართავენ და ნახევარფინალ-ფინალის დროც დადგება.

ქულის დაუკარგავად ჯერჯერობით ექვსი ნაკრები იბრძვის. ოღონდ სხვა ლიდერებისგან განსხვავებით, ევროჩემპიონ გერმანელთა აწყობილმა მანქანამ საგზური ჯერ ვერ დაიბევა, რადგან სამი ისეთი მდევარი ჰყავს, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ერთი სიტყვით, D ჯგუფში ყველაზე ჩახლართული ვითარებაა.

მეოთხე დღის უმთავრესი მოულოდნელობა მსოფლიოს ოთხგზის ტრიუმფატორ შვედეთის მარცხი იყო ესპანეთთან, თუმც ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პირინეელებმა შემთხვევით გაიმარჯვეს. სკანდინაველებმა რიხით დაიწყეს, ანგარიშიც გახსნეს და მერვე წუთისთვის ხუთი ბურთით დაწინაურდნენ — 7:2, შუა ტაიმში კი უპირატესობა უფრო გაზარდეს — 14:6. მერე ესპანელები ახმაურდნენ და რვა წუთში ექვსი უპასუხო გოლით თითქმის მინიმუმამდე დაიყვანეს ჩამორჩენა, მაგრამ ტაიმი მაინც შვედების იყო — 17:14.

შესვენების შემდეგ კარგა ხანს ივივე ამბავი გაგრძელდა — ექსჩემპიონები სამ-ოთხი ბურთით ლიდერობდნენ. გარდამტეხი გახდა ხუთწუთიანი მონაკვეთი, როცა ესპანელებმა ხუთჯერ ზუსტად გაისროლეს და ალბერტ როჩასმა ჯერ გაათანაბრა, საფინალო სასტვენამდე 11 წუთით ადრე კი პირველად დააწინაურა თავისიანები. იქვე როლანდო ურიოსმა და მარიანო ორტეგამ თითოც წაამატეს და — 27:24. შვედებმა [illegible] სცადეს, მაგრამ უხეიროდ — მორიგი ხუთწუთიანი ჩავარდნა საკუთარ კარში ექვს გოლად დაუჯდათ.

წინა ტურში ალჟირელებთან წაფორხილების შემდეგ სერბებს ბოლო წუთამდე უმძიმეს ბრძოლაში ნორვეგიელების ძლევით მშვენიერი [illegible] შანსი გაუჩნდათ, მაგრამ გერმანიასთან გადამწყვეტი ჯახი ელით და გამორიცხული არ არის, ჯგუფიდან გამსვლელის ვინაობა ბურთების სხვაობამ გამოავლინოს.

ძალიან უჭირთ ხუთიოდე წლის წინათ უძლეველ ფრანგებს ორგზის ჩემპიონები მასპინძლებთან დრამატულ შეხვედრაში მხოლოდ ფრეს გამორჩნენ და საამისოდაც დიდი ომი გადახდათ, ოთხი წუთით ადრე ორ ბურთს აგებდნენ.

რეკორდი დაამყარეს დანიელებმა — უსუსურ კანადას 52-ჯერ გაუტანეს. ლარს კრისტიანსენმა 14 შედეგიანი ტყორცნა [illegible] და სნაიპერთა დავაში საშუალო შედეგიანობით (რვა გოლი) [illegible] სორენ სტრანდს(?) 10 [illegible] (9,3) შემდეგ.

**გია ახალაძე**



# კუმ ფეხი გამოყო

## ერთი შეჯიბრების ოთხი კანდიდატი

არ ცხრება ამ ზაფხულს გასამართი მოცურავეთა …ოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობასთან დაკავში…ბული აჟიოტაჟი.

…გორც ვიუწყებოდით, თავდაპირველად დაგეგმი… იყო, რომ ეს შეჯიბრება მონრეალში უნდა გამა…ულიყო, მაგრამ ამ ასპარეზობის საორგანიზაციო …მიტეტის ფინანსური პრობლემების გამო ცურვის …ერთაშორისო ფედერაციამ მას ამ ჩემპიონატის გა…თვის უფლება ჩამოართვა.

…ს რომ გაიგეს, შეჯიბრების მიღება ისურვეს ბერ…ინმა და ათენმა. მერე მონრეალის მერმა მუნიციპის დაცვა განიზრახა და თქვა, ყველაფერს ვიღონებ ამ ჩემპიონატის ჩვენთან დასაბრუნებლადო. ამასობაში კუმ ფეხი გამოყო და, მოსკოვმაც მოინდომა წლევანდელი მოცურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა, რაც არა მხოლოდ უშუალოდ ამ სახეობის, არამედ სინქრონული ცურვის, წყალში ხტომის, წყალბურთისა და ღია წყალში ცურვის შეჯიბრებების მასპინძლობასაც გულისხმობს.

მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობასთან დაკავშირებით განაცხადების მიღების ბოლო ვადად 15 თებერვალია დათქმული.



### C ჯგუფი

ავსტრალია 13:34 არგენტინა
ესპანეთი 31:33 ხორვატია
შვედეთი 32:18 იაპონია

### D ჯგუფი

ყატარი 29:31 ეგვიპტე
სერბეთი 33:19 ბრაზილია
ნორვეგია 27:27 გერმანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსული ტურინი

ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში, ტურინის „პალაველას“ დარბაზში წყვილთა კვარცხლბეკი ერთიანად რუსულია: შუაში ტანია ტოტმიანინა და მაქს მარინინი ვითარცა ჩემპიონები, აქეთ-იქით კი ვერცხლ-ბრინჯაოთ: მარცხნივ, იულია ობერტასი და სერგეი სლავნოვი, მარჯვნივ კი მაშა პეტროვა და ალექსეი ტიხონოვი. წყვილებმა თუ თავიანთი განვლეს, კენტები კვლავაც იბრძვიან. კაცთა შორის ლიდერი კი სწორედ ეს მოხდენილი ფრანგია, ბრაიან ჟუბერი.



REUTERS ტურინიდან



# ჰაია-მხედარი

კოხტად უჭირავს თავი ცხენზე იორდანიის პრინცესა ჰაიას, რომელიც ცხენოსნობის მსოფლიოს ჩემპიონატში ჩაბმულა. შეჯიბრი დუბაიშია.







# თოვლის მინდორი

ბელგიაში თოვს. მონსის კოხტა სტადიონზე გასვლა და ბურთაობა მსაჯებმა შეუძლებლად ჩათვალეს. ამიტომ „მონსი“ — „ანდერლეხტი“ გადაიდო.

# მარიგოლი

მექსიკელ ფეხბურთელ მარიბელ დომინგესს ყველა იცნობს ვითარცა „მარიგოლს“, ეს გოგო იმდენად გრძნობდა თავის ოსტატობას, რომ ბიჭებში უნდოდა თამაში, მაგრამ ფიფამ ეს აუკრძალა. სამაგიეროდ, მარიგოლი ნახევარ წელიწადს ქალთა „ბარსელონაში“ ითამაშებს.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი პირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე, ოთარ მჭედლიშვილი, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge